## საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ბრძანება № 01-18/48

ქ. ბათუმი 15 თებერვალი, 2023 წ.

2023 წელს ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების**, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების**, ,,2022-2023 სასწავლო წელს ბსუ-ში განსახორციელებელი სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N01-02/287 ბრძანების**, ,,2023 წელს ბსუ-ში განსახორციელებელი სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 06 თებერვლის N01-02/25 ბრძანების**, ბსუ-ს რექტორის მოადგილის თამარ სირაძის 2023 წლის 14 თებერვლის N174414 სამსახურებრივი ბარათისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 15 თებერვლის N179272 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2023 წლის თებერვალში ჩატარებული კონკურსის შედეგად, დაფინანსდეს ბსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილი შემდეგი საგანმანათლებლო პროექტები:

ა) **,,100 წერილი ბსუ-ს“ -** პროექტის ავტორი: ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის ,,ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **ნინო კაკაბაძე**, პროექტის ბიუჯეტი: 3580 ლარი (დანართი N 1);

ბ) **„ასტრონომიული ობიექტების რელიეფის ელემენტების სიმაღლეების განსაზღვრა ასტრონომიული ტელესკოპი FL-80640 - ის საშუალებით** - პროექტის ავტორი: ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ,,ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **დავით მჟავანაძე**, პროექტის ბიუჯეტი: 4800 ლარი (დანართი N 2);

გ) **,,გარემოსდაცვითი ახალგაზრდული სამიტი - Environmental Youth Summit**" -პროექტის ავტორი: ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **გოგა ბაუჟაძე**, პროექტის ბიუჯეტი: 4992,38 ლარი (თანადაფინანსება სხვა წყაროდან - 25 000 ლარი) (დანართი N 3);

დ) „დებატ კლუბი“ - პროექტის ავტორი: ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **ნიკა თურმანიძე**, პროექტის ბიუჯეტი: 5000 ლარი **(დანართი N 4)**;

ე) **„სტუდენტური მედია კლუბი (Student Media Club)“** - პროექტის ავტორები: ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები **თამრიკო ზოიძე და ანა ვარდმანიძე**, პროექტის ბიუჯეტი: 4230 ლარი **(დანართი N 5)**;

ვ) **„ბსუ-ს მოხალისეთა კლუბი - BSU Volunteer Club“** - პროექტის ავტორი: ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **რაფაელ დილავერიძე**, პროექტის ბიუჯეტი: 2040 ლარი **(დანართი N 6)**.

2. წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად განხორციელდეს პროექტების ბიუჯეტებით გათვალისწინებული აქტივობები (პერსონალის მოწვევა, სამსახურებრივი აქტების წარმოდგენა, მატერიალური რესურსის გამოყენება, შეძენა და სხვა).
3. ამ ბრძანებით დამტკიცებული პროექტების ბიუჯეტის და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად რესურსების განკარგვის კოორდინაცია დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძემ).
5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ზუსტ მეცნეირებათა და განათლების ფაკულტეტს, ტურიზმის ფაკულტეტს, პროექტების ხელმძღვანელებს (უზრუნველყოს დაგზავნა ბსუ-ს პორტალის მეშვეობით სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა): ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ **ნინო კაკაბაძეს**, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ **დავით მჟავანაძეს**, ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ **გოგა ბაუჟაძეს**, ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ **ნიკა თურმანიძეს**, ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს **თამრიკო ზოიძესა და ანა ვარდმანიძეს** და ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ **რაფაელ დილავერიძეს**.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი — მერაბ დიასამიძე

**„2023 წელს ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“**
**ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 15 თებერვლის N01-18/48 ბრძანების**
**დანართი N1**

**სტუდენტური პროექტის სახელწოდება: „100 წერილი ბსუ-ს“**
**პროექტის ავტორი:** ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **ნინო კაკაბაძე**
**პროექტის ბიუჯეტი:** 3580 ლარი

**პროექტის ID:** 74

**რეგისტრაციის დრო:** 2023-02-04 19:47:31

**პროექტის ტიპი:** საგანმანათლებლო

**1.** განმცხადებელი
**1.1** პროექტის ხელმძღვანელი: ნინო კაკაბაძე
**1.2** გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში):
**1.3** პირადი ნომერი: 61001087002
**1.4** ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): ფატიმე გოგიტიძის 71, ბათუმი
**1.5** საკონტაქტო ინფორმაცია:
მობილური: +995 557977696
ელ.ფოსტა: niniko.pranchikela.niniko@gmail.com

**2.** პროექტის შესახებ
**2.1** პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): 100 წერილი ბსუ-ს
**2.2** პროექტის დაწყების თარიღი: 2023-05-01
**2.3** პროექტის დასრულების თარიღი: 2023-11-25
**2.4** ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 3580
**2.5** თანადაფინანსება:
**2.6** პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:**3580**

## 3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

**3.1 პრობლემის განსაზღვრა:** უნივერსიტეტი თითქმის საუკუნის განმავლობაში გასცემს ცოდნას, აძლევს განათლებას და უსაზღვრო შესაძლებობებს ახალგაზრდებს, ხელს უწყობს მათ განვითარდნენ მრავალმხრივ. აქედან გამომდინარე ბსუ-ს ჰყავს ძალიან ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული, რომელთაც საზოგადოება კარგად იცნობს, მაგრამ შეიძლება არ ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ , რომ ამ ადამიანებმა განათლება ბსუ-ში მიიღეს. აბიტურიენტების დიდი ნაწილი უნივერსიტეტის შერჩევისას ითვალისწინებს ოჯახის, ნათესავის, მეგობრის, მეგობრის მეგობრის და ა.შ. რჩევებს ამა თუ იმ უნივერსიტეტის შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ მათ არანაირი შეხება არ ჰქონიათ ამ უმაღლეს დაწესებულებებთან და პირადად არ გამოუცდიათ სტუდენტობის პერიოდი იქ. ეს რჩევები რა თქმა უნდა მცდარია და აბიტურიენტიც შეიძლება მცდარ გზას დაადგეს. აბიტურიენტს უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მისაღებად და მისი შესაძლებლობების შესახებ წარმოდგენის შესაქმნებლად წვდომა აქვს ისეთ რესურსებზე, როგორიცაა : სტუდენტის გზამკვლევი, ინტერნეტ რესურსები, უნივერსიტეტების საიტი და ა.შ. მაგრამ, როცა მომავალი სტუდენტის წინაშე დგება უნივერსიტეტის არჩევის საკითხი, მისთვის ზემოთ აღნიშნული რესურსებიდან მიღებულ ინფორმაციაზე არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც ერთ დროს აირჩიეს ესა თუ ის უნივერსიტეტი და გახდნენ მისი სტუდენტები. აღნიშნულ ინფორმაციაში ვგულისხმობთ იმას, თუ როგორ და რატომ შეაჩერეს არჩევანი მაგ. ბსუ-ზე, როგორ იცვლებოდა წლების მანძილზე ახალგაზრდების მოთხოვნილებები, აზროვნება და ა.შ და როგორ ახერხებდა ბსუ ამ ცვლილებებისათვის ფეხის აწყობას და აქტუალურ უნივერსიტეტად დარჩენას ახალგაზრდებს შორის. არანაკლებ საინტერესოა თუ როგორ გაგრძელდა ამ ადამიანების კარიერული გზა. სამწუხაროდ მსგავსი ინფორმაცია ხელმიუწვდომელია ნებისმიერი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების შესახებ მათ შორის ბსუ-ს.

**3.2 მიზანი:** 1923 წლისათვის, ბათუმში ქალთა გიმნაზიის ყოფილ შენობაში დაფუძნდა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც შემდეგ პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა, რამაც მყარი ფუნდამენტი შეუქმნა დღევანდელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებას. ამ თარიღიდან უკვე ასი წელი გავიდა. უნივერსიტეტის შექმნა მოითხოვს ხედვის ქონას მომავლისაკენ. ხედვა უნივერსიტეტად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა თითოეული ფაკულტეტი და წამოწყება გამოიყენება სტუდენტების სწავლების მიზნით. წლების განმავლობაში, ასობით და ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებასა და სტუდენტებისათვის სასწავლო და კვლევითი შესაძლებლობების შექმნაში. ჩვენი პროექტის მიზანია გამოიცეს წიგნი „100 წერილი ბსუ-ს", სადაც თავმოყრილი იქნება სხვადასხვა თაობის, ბსუ-ს წარმატებული კურსდამთავრებულების წერილები, რომლითაც ისინი ულოცავენ ბსუ-ს იუბილეს. ამით აბიტურიენტებსა და არა მხოლოდ მათ, გააცნობებ საკუთარ ისტორიას ბსუ-ში მოხვედრის, სტუდენტობისა და სტუდენტობის შემდეგ განვითარებული ცხოვრების შესახებ. ჩვენი წიგნი „100 წერილი ბსუ-ს" იქნება პირდაპირი ისტორიები და მაგალითები. აბიტურიენტი საკუთარი თვალით გაეცნობა რეალურ ისტორიებს სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო საფეხურის კურსდამთავრებულების შესახებ და დაინახავს რეალურ შესაძლებლობებს, იმას თუ რამდენად ამართლებს ჩვენი უნივერსიტეტი მის მოთხოვნილებებს, აძლევს უსაზღვრო შესაძლებლობებს და ამის შემდეგ ნამდვილად აღარ

გაუჭირდება სწორი არჩევანის გაკეთება. ამას გარდა ეს წიგნი იქნება საჩუქარი უნივერსიტეტისათვის, რომლითაც სხვადასხვა თაობის კურსდამთავრებული უხდის მადლობას და ულოცავს იუბილეს.

**3.3 ამოცანები:** ჩვენი პროექტი შეიქმნა ზუსტად იმისათვის, რომ შემოიტანოს ინოვაცია და ბსუ გახდება პირველი უნივერსიტეტი საქართველოში, რომელიც აბიტურიენტებს მისცემს წვდომას მისი და მისი კურსდამთავრებულების „ურთიერთობის" შესახებ, რაც აბიტურიენტს რეალურ ისტორიებზე დამყარებულ მაგალითებს მისცემს, თუ რაოდენ დიდი რესურსი და პოტენციალი აქვს ბსუ-ს იმისათვის, რომ საკუთარი სტუდენტი აქციოს თავისი საქმის პროფესიონალად, მისცეს მას უმაღლესი განათლება და გაუხსნას გზა კარიერული განვითარებისკენ. პროექტის ამოცანაა წიგნის შექმნა და გამოცემა, რომელსაც აბიტურიენტი უნივერსიტეტის შერჩევისას მიაკითხავს და დარწმუნდება, იმაში რომ ბსუ-ს არჩევის შემთხვევაში ის ნამდვილად სწორ ნაბიჯს გადადგამს. შეიქმნას წიგნი, რომელიც უნივერსიტეტისა და მისი გულშემატკივრებისათვის სამაგიდო წიგნად იქცევა.

**3.4 განხორციელების გზები:** პროექტის განხორციელების გზები შემდეგნაირია : პროექტის პირველ ეტაპზე შეირჩევა ბსუ-ს წარმატებული კურსდამთავრებულები, რომელთაც ექნებათ სურვილი ჩაერთონ ამ პროექტში და თავისი წვლილი შეიტანონ ამ მნიშვნელოვან საქმეში. შემდეგ ეტაპს წარმოადგენს მასალების შეგროვება, დახარისხება, წიგნის ელ.ვერსიის შედგენა, რომელსაც უნივერსიტეტის გამომცემლობა დაარედაქტირებს საჭიროების შემთხვევაში. პროექტის ბოლო ეტაპს წარმოადგენს წიგნის გამოცემა და საზეიმო ვითარებაში მისი წარდგენა საზოგადოებისათვის. პროექტში ავტორის გარდა მონაწილეობას იღებს ბსუ-ს ერთ-ერთი წარმატებული კურსდამთავრებული- ელენე კურტანიძე, რომელმაც 2022 წელს დაამთავრა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, სპეციალობა ბიოლოგია. სწავლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში და გასული წლის ბსუ-ს სტუდენტური პროექტების ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტის ავტორია. ის ამ პროექტში უზრუნველყოფს ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს.

**4.** პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | 1 თვე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 5 თვე | 6 თვე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეტაპი 1 | | | | | | | |
| 1 | მონაწილეების მოძიება | მაისი | | | | | |
| 2 | წერილებისა და ვიზუალური მასალის შეგროვება | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი |
| 3 | შეგროვებული მასალის დახარისხება | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი |
| ეტაპი 2 | | | | | | | |
| 1 | შეგროვებული მასალის დამუშავება | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი |
| 2 | წიგნის დიზაინის შედგენა | | | | აგვისტო | სექტემბერი | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | წიგნის ელექტრონულად აწყობა და საცდელი ვერსიის გამოცემა | | | | | სექტემბერი | ოქტომბერი |
| ეტაპი 3 | | | | | | | |
| 1 | წიგნის საბოლოო ვერსიის გამოცემა | | | | | | ოქტომბერი |
| 2 | წიგნის პრეზენტაცია | | | | | | ოქტომბერი |

**5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:** 1. აბიტურიენტები 2. სტუდენტები 3. ბსუ-ს აკადემიური პერსონალი 4. ნებისმიერი დაინტერესებული პირი

**6. მოსალოდნელი შედეგები:** 1. გამოიცემა წიგნი, რომელიც მრავალი თაობის სტუდენტისათვის კიდევ ერთი, მთავარი და მნიშვნელოვანი გზამკვლევი იქნება. 2. 100 წერილი ბსუ-ს" გახდება უნივერსიტეტის იმიჯის ნაწილი. 3. ამ წიგნის დახმარებით აბიტურიენტს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების არჩევისას გაუადვილდება სწორი არჩევანის გაკეთება. 4. აბიტურიენტსა და სტუდენტს შეეძლებათ მკაფიოდ დაინახოს საკუთარი თავი და მომავალი. 5. რეალური წარმოდგენა შეექმნებათ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ.

**7. მონიტორინგი:** პროექტის განხორციელების ყოველ ეტაპზე მკაცრად გაკონტროლდება სტრუქტურული ერთეულების მიერ საკუთარი ამოცანებისა და პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების მენეჯმენტი. რამდენად იქნა მიღწეული დასახული მიზნები,დადგენილი ინდიკატორების, ვადებისა და განსაზღვრული რესურსების შესაბამისად. ეფექტიანობის მონიტორინგის მიზნებისათვის, სტრუქტურული ერთეულებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების კვალდაკვალ მნიშვნელოვანია თითოეული ჩართული პირის ინდივიდუალურ დონეზე შესრულებული სამუშაოს და პროგრესის მონიტორინგი.

**8. შეფასება:** 1. ინოვაციურობა 2. კრეატიულობა 3. სიახლე 4. უნიკალურობა 5. აქტუალურობა ნებისმიერ დროში,ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის ადამიანისთვის 6. შემოქმედობითობა 7. ახალი ხედვა უნივერსიტეტისათვის

# სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროექტის დასახელება - 100 წერილი ბსუ-ს | | | | | | | | | | | |
| | **პროექტის მოკლე აღწერა** - ჩვენი პროექტის მიზანია, გამოიცეს წიგნი „100 წერილი ბსუ-ს", სადაც თავმოყრილი იქნება სხვადასხვა თაობის, ბსუ-ს წარმატებული კურსდამთავრებულების წერილები, რომლითაც ისინი ულოცავენ ბსუ-ს იუბილეს. ამით აბიტურიენტებსა და არა მხოლოდ მათ, გააცნობენ საკუთარ ისტორიას ბსუ-ში მოხვედრის, სტუდენტობისა და სტუდენტობის შემდეგ განვითარებული ცხოვრების შესახებ. ჩვენი წიგნი „100 წერილი ბსუ-ს" იქნება პირდაპირი ისტორიები და მაგალითები. აბიტურიენტი საკუთარი თვალით გაეცნობა რეალურ ისტორიებს სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო საფეხურის კურსდამთავრებულების შესახებ და დაინახავს რეალურ შესაძლებლობებს, იმას თუ რამდენად ამართლებს ჩვენი უნივერსიტეტი მის მოთხოვნილებებს, აძლევს უსაზღვრო შესაძლებლობებს და ამის შემდეგ ნამდვილად აღარ გაუჭირდება სწორი არჩევანის გაკეთება.<br>ამას გარდა ეს წიგნი იქნება საჩუქარი უნივერსიტეტისათვის, რომლითაც სხვადასხვა თაობის კურსდამათვრებული უხდის მადლობას<br>შეიქმნას წიგნი, რომელიც უნივერსიტეტისა და მისი გულშემატკივრებისათვის სამაგიდო წიგნად იქცევა. | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | |
| 1 | წიგნის დაბეჭდვა | ერთეული 50 ცალი *40 ლარ | 2000 | | | | | | ოქტომბერი | ნოემბერი | | |
| 2 | პლაკატი | 1 | 70 | | | | | | | ნოემბერი | | |
| 3 | ინტერვიუერის შრომის ანაზღაურება | 1 გამოკითხავს 100 ადამიანს 1 გამოკითხვა 10 | 1000 | | | აპრილი | | სექტემბერი | | | | |
| 4 | ბეიჯი | 4 ცალი 2.5 ლარი | 10 | | | | | | | | | |
| 5 | ჰონორარი: ნინო კაკაბაძე | 1 ადამიაზე 500 | 500 | | | | | | | | | |

„2023 წელს ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 15 თებერვლის N01-18/48 ბრძანების
დანართი N2

**სტუდენტური პროექტის სახელწოდება: „ასტრონომიული ობიექტების რელიეფის ელემენტების სიმაღლეების განსაზღვრა ასტრონომიული ტელესკოპი FL-80640 - ის საშუალებით**
**სტუდენტური პროექტის ავტორი:** ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **დავით მჟავანაძე**
**პროექტის ბიუჯეტი:** 4800 ლარი

**პროექტის ID:** 70

**რეგისტრაციის დრო:** 2023-02-04 18:22:35

**პროექტის ტიპი:** საგანმანათლებლო

**1.** განმცხადებელი
**1.1 პროექტის ხელმძღვანელი:** დავით მჟავანაძე
**1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში):** სტუდენტები ასტრონომიის ძიებაში
**1.3 პირადი ნომერი:** 61001086295
**1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი):** ბათუმი, ლუკა ასათიანის N.67
**1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:**
**მობილური:** 555572425
**ელ.ფოსტა:** Datamzhavanadze03@gmail.com

**2.** პროექტის შესახებ
**2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად):** „ასტრონომიული ობიექტების რელიეფის ელემენტების სიმაღლეების განსაზღვრა ასტრონომიული ტელესკოპი FL-80640 ის საშუალებით“
**2.2 პროექტის დაწყების თარიღი:** 2023-03-15
**2.3 პროექტის დასრულების თარიღი:** 2023-06-30
**2.4** ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 4800
**2.5** თანადაფინანსება: 0
**2.6** პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:**4800**

### 3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

**3.1 პრობლემის განსაზღვრა:** ფიზიკის კათედრის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს აჭარაში, კერძოდ ბათუმში პლანეტარიუმის ჩამოყალიბება, ხოლო 1957 წლის ოქტომბერში, როცა ყოფილ საბჭოთა კავშირში გაშვებული იქნა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, აკადემიკოს ევგენი ხარაძის რეკომენდაციით, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრას ს.ს.რ.კ.-ს ასტროფიზიკურმა აკადემიამ ნება დართო ხელოვნური თანამგზავრის დაკვირვების ვიზუალური სადგურის მოწყობის შესახებ. მნიშვნელოვანია ბსუ-ს ფიზიკის დეპარტამენტის (ძველად ფიზიკის კათედრის) პროფესორ-მასწავლებლების დამსახურება ბათუმის პლანეტარიუმის გახსნაში, რომელიც განთავსებული იყო ამჟამინდელი სომხური ეკლესიის შენობაში. გასული საუკუნის 90 -იან წლებში პლანეტარიუმი დაიხურა, რამაც გამოიწვია ამ მიმართულებით ახალგაზრდების ინტერესის შემცირება. მიმდინარე წელს ფიზიკის დეპარტამენტმა უნივერსიტეტის დაფინანსებით შეიძინა ულტრათანამედროვე ტელესკოპი FL-80640. რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ფიზიკის დეპარტამენტის ტრადიციის გაგრძელება - განაახლოს ასტრონომიული საკითხების შესწავლა. ეს პროექტი ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობასა და სტუდენტებში ასტრონომიის დარგისადმი ინტერესის ზრდასა და ცნობიერების ამაღლებას.

**3.2 მიზანი:** პროექტის მიზანი შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ. პროექტს აქვს სამეცნიერო ღირებულება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მიმართულება. • პროექტის სამეცნიერო მიზანი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ასტრონომიული ობიექტების რელიეფის ელემენტების სიმაღლეების განსაზღვრა ასტრონომიული ტელესკოპი FL-80640 ის საშუალებით. • პროექტის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მიზანია: ეგზოტიკური სურათების გადაღება და ბსუ-ს სახელით გამოქვეყნება, როგორც ელექტრონულად ასევე ბეჭდური სახით გავრცელება. საგანმანათლებლო შეხვედრების ორგანიზება საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების ჩართულობით.

**3.3 ამოცანები:** 1. ასტრონომიული ობიექტების რელიეფის ელემენტების სიმაღლის გამოსათვლელი მეთოდების შესწავლა; 2. მთვარის მაკეტის შექმნა და მისი საშუალებით შერჩეული მეთოდის სიზუსტის დადგენა ექსპერიმენტულად; 3. შერჩეული მეთოდის გაციფრულება, მარტივი კომპიუტერული პროგრამის შექმნა და რელიეფის ელემენტის სიმაღლის გამოთვლის ავტომატიზირება; 4. მთვარის რელიეფის ეგზოტიკური სურათების გადაღება და გავრცელება ელექტრული და ბეჭდური სახით ბსუ-ს სახელით; 5. საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის საინფორმაციო - საგანმანათლებლო ივენთის ორგანიზება.

**3.4 განხორციელების გზები:** მთვარე დედამიწის ერთადერთი ბუნებრივი თანამგზავრი და ჩვენთან უახლოესი ციური სხეულია. იგი გვესახება როგორც მოთეთრო-მოყვითალო სფერო, რომელიც დაფარულია მუქი ფერის ლაქებით. ეს სხვადასხვა ზომის კრატერები, გამყარებული ლავის უსაზღვრო ზღვები, ნაპრალები და სხვადასხვა სიმაღლის გორებია. მთვარე იყო პირველი ციური ობიექტი, რომელზეც ადამიანმა მზერა მიაპყრო. შესწავლის ერთ-ერთი პირველი ობიექტი სწორედ მთვარის რელიეფი იყო. ამ ხნის განმავლობაში მთვარის ზედაპირის კვლევის მრავალი მეთოდი იქნა წარმოდგენილი. ფოტოგრაფირება ერთერთი მნიშვნელოვანი ასტრონომიული მეთოდია ციური სხეულების შესასწავლად. ჩვენი ამოცანაა განვსაზღვროთ მთვარის რელიეფის ელემენტების სიმაღლე. ეს მეთოდი გულისხმობს ტელესკოპი FL-80640 ის საშუალებით მთვარეზე დაკვირვებას, მაღალი გარჩევადობის ფოტოსურათების გადაღებას,

ფოტოსურათებზე Inkscape რედაქტორით საწყისი მონაცემების აღებას. საწყის მონაცემებად ავიღებთ მთვარის დიამეტრს და მთვარის ფოტოსურათზე გამოსახული რელიეფის ელემენტის ჩრდილის ზომას. ჩვენს მიერ მიღებული ფორმულა სამართლიანი იქნება შემდეგი პარამეტრებისათვის: 1. სინათლის დაცემის კუთხე უნდა იყოს მცირე; 2. ტერმინატორი უნდა იყოს მთვარის დისკის ცენტრში. ფორმულის სამართლიანობის დასადგენად შევქმნით მაკეტს, რომელიც მთვარეზე რელიეფის ელემენტის ჩრდილის წარმოქმნის მოვლენას ასახავს. ჩვენს მიერ მიღებულ ფორმულას გამოვიყენებთ მთვარეზე რეალურად არსებული რელიეფის ელემენტის სიმაღლის გასაზომად. მაგალითად, როგორიცაა „პიკოს“ მთა, რომელიც ე.წ. „წვიმის ზღვის“ ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. გამოთვლებისთვის გამოვიყენებთ პროგრამულ გარსაცმს Microsoft Excel. გამოთვლების სიზუსტის შესამოწმებლად გამოვიყენებთ მთვარის ატლასზე არსებულ მონაცემებს, კერძოდ, „პიკოს“ მთის სიმაღლეა 2470 მ.

**4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)**

| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | 1 თვე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 5 თვე | 6 თვე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეტაპი 1 | | | | | | | |
| 1 | I ეტაპი | | | | | | |
| 2 | მაღალი ფოტოგარჩევადობის მქონე სმარტფონის შეძენა და მისი ტელესკოპთან პროგრამული შესაბამისობის უზრუნველყოფა | X | | | | | |
| 3 | მთვარის მაკეტის მომზადება და მასზე რაიმე სიმაღლის დატანა | X | | | | | |
| 4 | II ეტაპი | | | | | | |
| 5 | გამოსათვლელი ფორმულის მიღება და სამართლიანობის შემოწმება მაკეტის საშუალებით | | X | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ტელესკოპის საშუალებით მთვარის ფოტოების გადაღება სხვადასხვა ფაზაში | | X | X | | | |
| 7 | III ეტაპი | | | | | | |
| 8 | პროგრამა Inkscape რედაქტორით საწყისი მონაცემების განსაზღვრა | | X | X | | | |
| 9 | რიცხვითი გამოთვლების ჩატარება და ანგარიშის მომზადება | | | X | | | |
| 10 | IV ეტაპი | | | | | | |
| 11 | მიღებული შედეგების დამუშავება და სტუდენტურ კონფერენციაზე წარდგენა | | | X | X | | |
| 12 | ღია კარის დღეებში მოსწავლეთათვის მთვარის ფესტივალის მოწყობა | | | | X | | |

**5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:** სტუდენტები, მოსწავლეები და ასტრონომიით დაინტერესებული ნებისმიერი ჯგუფი.

**6. მოსალოდნელი შედეგები:** პროექტის ფარგლებში შემუშავდება მეთოდი, რომლის საშუალებით დედამიწიდან განვსაზღვრავთ ასტრონომიული ობიექტის რელიეფის სიმაღლეს მთვარეზე. კვლევის შედეგები იქნება წარმოდგენილი სტუდენტურ კონფერენციებზე. მოსწავლეთათვის მოეწყობა მთვარის ფესტივალი, სადაც მოსწავლეები გაეცნობიან პროექტში გამოყენებულ მეთოდს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას ასტრონომიულ დარგებში. დაიბეჭდება მთვარის რელიეფის ეგზოტიკური სურათები და გავრცელდება ელექტრული და ბეჭდური სახით ბსუ-ს სახელით.

**7. მონიტორინგი:** • ტელესკოპის საშუალებით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს მთვარის მდგომარეობას სხვადასხვა ფაზაში;
• კვლევის შედეგების წარმოდგენა სტუდენტურ კონფერენციებზე; • მოსწავლეთათვის მთვარის ფესტივალის მოწყობა.

**8. შეფასება:** მოსწავლეებისა და სტუდენტების სიმრავლე, მათი ჩართულობა და აქტიურობა ღია კარის დღეებზე; მთვარის რელიეფის სიღრმისეულად შესწავლა; ტელესკოპის საშუალებით გადაღებული ფოტოები ასტრონომიისა და ფიზიკის პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში.

## სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **პროექტის დასახელება** - „ასტრონომიული ობიექტების რელიეფის ელემენტების სიმაღლეების განსაზღვრა ასტრონომიული ტელესკოპი FL-80640 ის საშუალებით“ | | | | | | | | | | | |
| | პროექტის მოკლე აღწერა - | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
| | | | | | | მარტი | აპრილი | მაის. | ივნ. | ივლი. | | |
| 1 | სმარტფონი მაღალი გარჩევადობის ფოტოკამერით | Google pixel 6 ან 7 5G 8/128gb Snow | 2000 | | | + | | | | | | |
| 2 | ფერადი ფოტოქაღალდი | 50 ც ფოტოქაღალდი 3 ლ = 150 ლარს. | 150 | დაბეჭდილი ფოტოები | | + | + | + | + | | | |
| 3 | ჩარჩოები სურათებისთვის | 20 ცალი ფასი 30 ლ = 600 | 600 | დაბეჭდილი ფოტოები ჩარჩოთი | | + | | | | | | |
| 4 | ანაზღაურება | დავით მჟავანაძის 450, ლინდა ჯორბენაძე 250 და ბექა შაინიძე 250 | 950 | ავტორთა კმაყოფილება | | | | | | + | | |
| 5 | ტრანსპორტირება | ქედა, შუახევი და ხულოს მუნიციპალიტეტებში 2 მხირივი მგზ. | 1100 | | | | | | | | | |

„2023 წელს ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 15 თებერვლის N01-18/48 ბრძანების
დანართი N3

სტუდენტური პროექტის სახელწოდება: „გარემოსდაცვით ახალგაზრდული სამიტი - **Environmental Youth Summit**"

**პროექტის ავტორი:** ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **გოგა ბაუჟაძე**

**პროექტის ბიუჯეტი:** 4992,38 ლარი (თანადაფინანსება სხვა წყაროდან - 25 000 ლარი)

**პროექტის ID:** 72
**რეგისტრაციის დრო:** 2023-02-04 18:50:48
**პროექტის ტიპი:** საგანმანათლებლო

**1. განმცხადებელი**
**1.1 პროექტის ხელმძღვანელი:** გოგა ბაუჟაძე
**1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში):** “ახალგაზრდები საქართველოსთვის Youth for Georgia - Y4G”
**1.3 პირადი ნომერი:** 61004062649
**1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი):** ბათუმი, აღმაშენებლის N1 ბინა 819
**1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:**
**მობილური:** 595290041
**ელ.ფოსტა:** goguta.baujadze@gmail.com
**2. პროექტის შესახებ**
**2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად):** “გარემოსდაცვით ახალგაზრდული სამიტი - Environmental Youth Summit"
**2.2 პროექტის დაწყების თარიღი:** 2023-04-01
**2.3 პროექტის დასრულების თარიღი:** 2023-06-30
**2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა:** 4992,38
**2.5 თანადაფინანსება:** 25000
**2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:29992**
**3. პროექტის/ინიციატივის აღწერა**
**3.1 პრობლემის განსაზღვრა:** დღესდღეობით ინფორმაციის დეფიციტი, გამოუცდელობა და შესაძლებლობების არ არსებობა ერთ-ერთ თვალსაჩინო პრობლემას წარმოადგენს, შესაბამისად განათლების ხარისხი სრულად არ არის ისეთი, როგორც საერთაშორისო

სტანდარტებს შეესაბამება. მოგეხსენებათ, რომ ეკოლოგიური ფაქტორები ერთ-ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს სტუდენტურ ცხოვრებაშიც, სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ წელს კონკრეტულად გარემოსდაცვითი/საგანმანათლებლო მიმართულებით გავცეთ იმ სპეციალისტების ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მოგვეპოვება, თანაც არსებითად პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ახლაგზრდების ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, მოქალაქეობრივ საქმეში სიმწირეს განიცდის, ხოლო ეს საქმიანობები უმნივნელოვანესია, უფრო მეტიც ეს განსაზღვრავს იმას თუ როგორ მომავალს შევქმნით ახალგაზრდები და როგორ სამყაროში ვიცხოვრებთ. ჩვენთვის უდიდესი, პრობლემაა ისიც, რომ გასაუმჯობესებელია კავშირი უნივერსტიტეტსა და შრომით ბაზარს შორის, მოცემული პროექტი კი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ინტეგრაციას არაფორმალურ გარემოში, თანაც ჩვენ ვთლით, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააფართოოს სტრატეგიულ პარტნიორთა წრე, რაშიც მოცემული პროექტი, პირდაპირ შეუწყობს ხელს და იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც ამჟამად გამაჩნია შემიძლია ვთქვა, რომ 30-მდე სკოლასთან, 26-მდე ეკო კლუბთან და რამდენიმე ორგანიზაციასთან შეგვიძლია მეგობრული კავშირის დამყარება. გავაფორმოთ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი და გავაფართოვოთ უნივერსიტეტის მეგობართა წრე ეს დაგვეხმარება ასევე იმაში, რომ სამომავლოდ ფართო სპექტრიდან შეგვეძლოს არსებული პერსპექტივების ხილვა და ახალგაზრდებს მიეცეთ გაცილებით მეტი შესაძლებლობა იმისა, რომ სამომავლოდ შეძლონ უფრო მეტი აქტივობების შექმნა და განხორციელება ჩვენს საუნივერსიტეტო სივრცეში. აგრეთვე პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ სტუდენტებს, მოსწავლეებსა და პროფესორებს შორის არსებული ურთიერთობები არ არის მყარი, მაშასადამე, ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მათ შორის არსებული ურთიერთობების გაუმჯობესებას, ეს პროექტი კი საფუძველს ჩაუყრის, როგორც სტუდენტების ასევე აბიტურიენტების, სხვადასხვა სკოლებიდან ინტეგრაციას ბსუ-ს კედლებში. მაშასადამე, ჩემი გუნდის ერთ-ერთი მიზანია ახალგაზრდები უფრო მეტად დავაახლოვოთ ჩვენს უნივერსიტეტთან. არსებული პრობლემების საფუძველზე სტუდენტებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა უფრო დიდი სპექტრიდან შეხედონ არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, ამასთანავე უკან დაუხევლად, დაუბრკოლებლად გაუმკლავდნენ მას. ჩვენთვის აგრეთვე საყურადღებოა ჩვენი ინდოელი მეგობრების აქტიურობის საკითხი, თანაც დღეს ვხედავთ, რომ ისინი საკმაოდ დაჩგრულები არიან და ვიმედოვნებ არსებული პროექტით შევცვლით ცოტათი მაინც მათ მდგომარეობას. არსებითად კიდევ ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის კერძოდ ბსუ-ს სტუდენტებისთვის რუტინული სასწავლო პროცესი, რომელიც, მართალია გვაძლევს თეორიულ ცოდნას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ თეორიულ ცოდნასთან ერთად აუცილებელია პრაქტიკაც, რომელსაც არაფორმალური განათლება იძლევა და ის აგრეთვე სამომავლოდ გვეხმარება საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენასა და რეალიზებაში ამიტომ ჩვენ ერთ-ერთ მიზანს წარმოადეგნს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებაც.

**3.2 მიზანი:** ჩვენ უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე კარგად ვიცით, რომ უნივერსიტეტმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი სოციალური როლი რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, (I) ჩვენ კი დავისახეთ მიზნად, რომ განვახორციელოთ მასშტაბური სახის გასვლითი აქტიოვობები/სამიტები, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს, განავითარონ ლიდერული უნარ-ჩვევები, რომლებიც მნიშვნელოვანია რათა იყვნენ წაარმატებული თავიანთ საქმეში, შეიძინონ ახალი მეგობრები, გაეცნონ ახალ სამუშაო გარემოს, ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და მათ სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებას. (II) ჩვენი მიზანია მივცეთ ახალგაზრდებს შესაძლებლობა, მიიღონ თანამაედროვე, მაღალი ხარისხის

განათლება და გამოცდილება, რომელიც მათ სამომავლოდ ხელს შეწყობს პროფესიულ ორიენტაციაში. ასევე გაიღრმავონ კრიტიკული, ანალიტიკური და ლიდერული უნარ-ჩვევები, დაეუფლონ საჯარო გამოსვლების, დებატებისა და მოლაპარაკებების ხელოვნებას, იმუშავონ საქართველოში მიმდინარე ყველაზე აქტუალურ/პრობლემატურ საკითხებზე, შეიმუშავონ საკუთარი გადაჭრის გზები გლობალური პრობლემებისა, ასევე ჩვენი მიზანია, (III) სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის გავაღრმავოთ არსებული ურთიერთობა, რომელიც აუცილებლად უნდა დაეფუძნოს ურთიერთმხარდაჭერას, ინფრომციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას. ჩემი საინიციატივო გუნდი მაქსიმალურად შეეცდება გასვლითი სამიტები გაახალისოს, სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობებით და გაამრაველფეროვნონ სტუდენტებისა და აბიტურიენტების ცხოვრება, ისინი მაქსიმალურ უზრუნველყოფენ დელეგატების უმაღლესი განწყობის მაქსიმალურად შენარჩუნებაზე. ჩემი საინიციატივო გუნდი შესაბამისად შეეცდება დელეგატები უზღუნველყონ სხვადასხვა გასართობი თუ შემეცნებითი აქტივობით (ენერჯაიზერებით), რადგან დამღლელი სამუშაო პროცესი განიმუხტოს და თავიანთ სამუშაოს ენერგიულად გაუმკლავდნენ მონაწილეები. ჩვენი მიზანია (IV) აგრეთვე პროექტის განმავლობაში მონაწილეები იყვნენ სრულიად აღჭურვილნი, საჭირო საკანცელარიო ნივთებით, რათა პროექტის განმავლობაში არ შეექმნათ არანაირი დაბრკოლება, როგორც დელეგატებს, ასევე ხელმძღვანელებს. (V) უნივერსიტეტის პოპულარიზაციაც ასევე ჩვენს მიზნებსა და ამოცანებშია, სწორედ ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველი გასვლითი სამიტის დასაწყისში (სულ ხუთი გასვლითი სამიტი ჩატარდება) ჩემი გუნდი მაქსიმალურად უზრუნველყოფს ჩვენი უნივერსიტეტის პოპულარიზაციას და აბიტურიენტებს გავაცნობთ იმ მიღწევებს, რომელიც გაგვაჩნია. (VI) არსებული რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, საინიციატივო ჯგუფმა ასევე დაისახა მიზნად, აქტივობებში ჩვენი ინდოელი მეგობრების ჩართვა, რომლებთან ერთადაც ასევე მაქსიმალურად უზღუნველყოფენ სხვადასხვა გასართობი თუ შემეცნებითი აქტივობებს და გაუხალისებენ დელეგატებს თავიანთ სამუშაო პროცესს.

**3.3 ამოცანები:** (I) ჩვენი უმთავრესი ამოცანა და მიზანია, ახალგაზრდებს მაქსიმალურად მივცეთ შესაძლებლობა იყვნენ არაფორმალურ აქტივობებში, ჩართულნი, განავითარონ მათი ლიდერული უნარ-ჩვევები, რომლებიც ფაქტობრივად განსაზღვრავს მათ ნათელ მომავალს. პროექტის ფარგლებში ჩვენი ამოცანაა ახალგაზრდებს სრულფასოვნად მივაწოდოთ მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე აქტიურ პროცესებზე, რომელიც ამ წამსაც კი მიმდინარეობს. (II) საინტერესოა ისიც, რომ ჩვენი უმთავრესი ამოცანა და მიზანია, რომ ჩვენ აქტივობებში ჩავრთოთ მთელი მუნიციპალიტეტის მაქსიმალურად ბევრი ახალგაზრდა, (აქ თვალთახედვაში გვაქვს 30-ზე მეტი სკოლა და მათში შემავალი 26-მდე ეკო-კლუბი, რომლებთანაც გვაქვს პარტნიორული ურთიერთობა) რათა მივცეთ შესაძლებლობა განვითარდნენ და ერთი საფეხურით გადაინაცვლონ წარმატების საფეხურებზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პროექტი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის პოპულარიზაციას, ვინაიდან, ჩვენ ამოცანად დავისახეთ პროექტის დასაწყისშივე, შესავალ ნაწილში ვუამბოთ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ჩვენი უნვერსიტეტის შესახებ და მათთან დავამყაროთ მეგობრული ურთიერთობები, რადგან ეს გაზრდის ალბათობისა იმისა, რომ სამომავლოდ ისინი არჩევნს ჩვენს უნივერსიტეტზე შეაჩერებენ. მოგეხსენებათ რაოდენობრივი მაჩვენებელით ჩართული იქნება 400-მდე აბიტურიენტი, სკოლის მოსწავლე და სტუდენტი.(III) ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა ასევე ჩვენი უნივერსიტეტის პოპულარიზაციაა, რომლისთვისაც ვგეგმავთ, ჩავატაროთ ცნობიერების ამაღლების კუთხით პროექტის განმავლობაში რამდენიმე ტრეინინგი. ტრენინგებს წარუძღვებიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორები. როგორც მიზნებში აღვნიშნე გვექნება ენერჯაიზერები,

რომელთაც ორგანიზატორებს შევასწავლით, დავატრენინგებთ, ხოლო ისინი გაამხიარულებენ ახალგაზრდებს და ეს ამოცანა მათ აკისრიათ, ჩვენი ასევე უმთავრესი ამოცანაა პროექტის დაგეგმარებასა და განხორციელებაში მონაწილეობას იღებდეს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, რათა განივითარონ მათთვის საჭირო უნარ ჩვევები და სამომავლო გამოწვევებს დაუბრკოლებლად გაუმკლავდნენ!. აქვე ვიტყვი, რომ პროექტის, როგორც გასვლით ნაწილში ასევე უნივერსიტეტშიც დელეგატები ინტერესის მიხედვით აირჩევენ სამუშაო ჯგუფებს, რომელიც დაეხმარებათ პროფესიულ ორიენტაციაში. ისინი განიხილავენ აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებს მათ ხელმძღვანელებთან (ტრენერებთან / ლექტორებთან) და მონაწილეებთან ერთად, ამასთანავე შეიმუშავებენ პრობლემების გადაჭრის გზებს, რომელსაც ასახავენ რეზოლუციაში, ხოლო ამ რეზოლუციას წარადგენენ გენერალურ ასამბლეაზე და შეეცდებიან მათი აზრი ლოგიკურად, სრულფასოვნად და ამომწურავად დაასაბუთონ, ასევე შესაძლოა რეზოლუციის გადახედვა, გადასინჯვა და უმრავლესობის გადაწყვეტილებით მისი დამტკიცება. როგორც მიზნებში აღვნიშნე გვექნება ენერჯაიზერები, რომელთაც ორგანიზატორებს შევასწავლით, დავატრენინგებთ, ხოლო ისინი დელეგატების განწყობაზე იზრუნებენ. ჩემი გუნდის მიზანი კი გახლავთ სტუდენტებისა და ახალგაზრდების მოტივირება და იმ გზების ჩვენება, რომლითაც შეძლებენ დასახულ მიზნებს მიაღწიონ და წარმატების ბილიკს გაუყვნენ.

**3.4 განხორციელების გზები:** მოგეხსენებათ, მოცემული პროექტი დაფუძნებულია გავლილ პრაქტიკასა და შეძენილ ცოდნაზე. ცოდნაზე, რომელიც საინიციატივო გუნდის ყოველ წევრს გააჩნია, პრაქტიკამ ჩვენ შეგვძინა ის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, რომელიც დაგვეხმარება დასახული მიზანი მივიყვანოთ ბოლომდე. ჩვენი ჯგუფი დაკომპლექტებულია ოთხი წევრისგან, რომლებსაც აქვთ ორგანიზატორობის გამოცდილება მსგავს პროექტებსა და ფორუმებში. აღსაღნიშნავია ისიც, რომ თითოეულ მათგანთან ერთად მიმუშავია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ ურთულესი ამოცანა აკისრიათ, თითოეულ ორგანიზატორს აქვს თავიანთი მოვალეობანი გადანაწილებული. ჩვენი პროექტის შინაარსი საკმაოდ დინამიური და აქტიურია, ვინაიდან ის შედგება რამდენიმე ეტაპისგან, პირველ ეტაპზე ჩემი კოორდინატორების მოვალეობაა გამოაცხადონ კონკურსი ორგანიზატორების მიღების შესახებ. ოგანიზატორები იქნებიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 35-მდე სტუდენტი, (თითოეული ფაკულტეტიდან 5 სტუდენტი) ისინი სამომავლოდ, როგორც უშუალოდ ჩაერთვებიან განხორციელებაში ასევე ექნებათ საშუალება იყვნენ პროექტის უშუალო მონაწილეც. აღსაღნიშნავია, რომ თითოეული ფაკულტეტიდან 5 სტუდენტი, რაც ვფიქრობ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, როგორც ჩვენი სტუდენტებისთვის ასევე ჩვენი უნივერსიტეტისათვის, მათ ჩაუტარდებათ რამდენიმე ტრენინგი, რომელიც მიმართული იქნება მათი სამუშაო გრაფიკისა თუ სპეციფიკის განხილვისთვის, რადგან მათ წინ საკმაოდ დიდი გზა და მნიშვნელოვანი გასვლები ელოდებათ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, ასე რომ ახალბედა ორგანიზატორებს, გამოცდილი ორგანიზატორები გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და სრულფასოვნად გადაამზადებენ იმ დაუვიწყარი დღისთვის, რომლებიც მათ წინ ელით. ასევე შეასწავლიან სხვადასხვა ენერჯაიზერებს, რომლებსაც ისინი შემდგომში დელეგატების გასამხიარულებლად გამოიყენებენ. აქვე აუცილებელია აღვნიშნო, რომ ჩვენს გვერდით დგას ისეთი გამოცდილი გუნდი, რომელთაც აქვთ საკმაოდ დიდი პრაქტიკა საგანმანათლებლო აქტივობებისა თუ ღონისძიების კუთხით და ერთად ჩვენ წარმოვადგენთ იმ მნიშვნელოვან ძლიერ გუნდს, რომელთაც მარტივად ძალუძთ სხვადასხვა პრობლემატურ მდგომარეობაზე გამკლავება (იხილეთ თანდართული თანხმობის წერილი „საკონსულტაციო კომპანია macs"-ის თანხმობის წერილი) მეორე ეტაპს, რაც შეეხება დელეგატები

შეირჩევიან მუნიციპალიტეტების მიხედვით, კონკრეტულ მუნიციპალიტეტში უნდა იყოს აუცილებლად დაახლოებით 40 ახალგაზრდა, რაც თავის თავში გულისხმობს 4 კომიტეტს, ხოლო თითოეულ კომიტეტში იქნება 10 ახალგაზრდა, გასათვალისწინებელია, რომ თითოეული კომიტეტის რიგში იქნება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 სტუდენტი, მათ წინასწარ დავუკავშირდებით და გავაცნობთ ჩვენი აქტივობების წესებსა და გარემოებებს, ვინაიდან ისინი ჩაერთვებიან შეჯიბრში, რომელიც საკმაოდ დატვირთული და აქტიურია, საბოლოოდ კი ისინი გადანაწილდებიან მათთვის განკუთვნილ კომიტეტში. ამჟამინდელი მონაცემებით, პარტნიორიული ურთიერთობა და მხარდაჭერა გვაქვს ქვემოთ მოცემულ მუნიციპალიტეტების ეკო-კლუბებთან, სწორედ ისინი იქნებიან ჩვენს სტუდენტებთან ერთად პროექტის ბენეფიციარები. - ხულო (7 სკოლა) - შუახევი (6 სკოლა) - ქედა (3 სკოლა) - ხელვაჩაური (1 სკოლა) - ქობულეთი (6 სკოლა) მესამე ეტაპს, რაც შეეხება სამიტის შესარჩევი გასვლითი შეხვედრები სს „აჭარის წყლის ალიანსის" ეკო-კლუბებისთვის მუნიციპალიტეტებში წინასწარ განსაზღვრული გვაქვს ცენტრები, რომლებიც მიგვიღებენ და გვიმასპინძლებენ, ჩვენი მხრიდან გათვალისწინებულია ყველანაირი ფურშეტი და ინვენტარი, რათა ახალგაზრდებმა იგრძნონ თავი მაქსიმალურად კომფორტულად, ასევე დავძენ, რომ ჩვენს გვყავს წინასწარ შერჩეული მენტორები, რომლებიც წარუძღვებიან მოცემულ კომიტეტებს, პროექტის მეორე დღეს, კი უკვე ახალგაზრდები, კონკრეტული კომიტეტები წარმოადგენენ მათ ნამუშევარს, რეზოლუციას, რომელსაც გააცნობენ ფართო აუდიტორიას, საბოლოოდ ისინი შეფასდებიან და საუკეთესო ერთ გააგრძელებს ასპარეზობას ფინალურ შეჯიბრში, ასე გაგრძელდება პირველი ეტაპი ყოველ მუნიციპალიტეტში. ფინალურ ეტაპი განხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელშიც ჩართული იქნება სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, გამარჯვებული ახალგაზრდები ისინი გაივლიან სამ დღიან შეჯიბრს და საბოლოოდ მესამე დღეს ისინი გენერალურ ასამბლეაზე გამოიტანენ თავიანთ ნაშრომებს, რეზოლუცის სახით. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენს პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია მე-8 მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასის მოსწავლეებსა და სტუდენტებს (14-დან 24წლამდე), ეს კი ვფიქრობ კარგი იქნება, როგორც საუნივერსიტეტო სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებისთვის, ასევე უნივერსიტეტის პოპულარიზაციისთვის, რადგან ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ ჩვენი აუდიტორიის სივრცესა და მიიღონ ლექტორებთან მუშაობის გამოცდილება ეს კი გაზრდის ალბათობას იმისა, რომ ერთ დღესაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიური სტუდენტები გახდნენ. პროექტის ამოცანების განხორციელებისათვის წინასწარ გვაქვს შემუშავებული პროექტის სრული გეგმა, სადაც ასევე გვიწერია ყველა ადამიანის მოვალეობანი და ფუნქციები, რომელიც შეგიძლიათ პროექტის აღწერაში იხილოთ (იხ.პროექტის აღწერა pdf)

**4.** პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | 1 თვე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 5 თვე | 6 თვე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეტაპი 1 | | | | | | | |
| 1 | ორგანიზატორთა მიება/აპლიკაციის ჩაშვება | 01.04.2023 | | | | | |
| 2 | ორგანიზატორთა შერჩევა | 15.04.2023 | | | | | |
| 3 | ორგანიზატორთა გადამზადება | 15.04.2023 - 25.04.2023 | | | | | |
| ეტაპი 2 | | | | | | | |
| 1 | დელგატთა რეგისტრაციის აპლიკაციის ჩაშვება (მუნიციპალიტეტების მიხედვით) | 15.04.2023 | | | | | |
| 2 | დელეგატების შერჩევა (ხელვაჩაური) | 29.04.2023 | | | | | |
| 3 | დელეგატების შერჩევა (ქობულეთი) | 29.04.2023 | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | დელეგატების შერჩევა (ქედა) | 30.04.2023 | | | | | | |
| 5 | დელეგატების შერჩევა (შუახევი) | 30.04.2023 | | | | | | |
| 6 | დელეგატების შერჩევა (ხულო) | 30.04.2023 | | | | | | |
| 7 | დელეგატების თავის ჯგუფებში გადანაწილება (ყოველ მუნუციპალიტეტს ჰყავს თავისი 4 გუნდი) | | 1.05.2023 | | | | | |
| ეტაპი 3 | | | | | | | | |
| 1 | სამიტი ხელვაჩაურში | | 6.05.2023-7.05.2023 | | | | | |
| 2 | სამიტი ქობულეთში | | 13.05.2023-14.05.2023 | | | | | |
| 3 | სამიტი ქედაში | | 20.05.2023-21.05.2023 | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | სამიტი შუახევი | | 27.05.2023-28.05.2023 | | | | | |
| 5 | სამიტი ხულოში | | | 3.06.2023-4.06.2023 | | | | |
| ეტაპი 4 | | | | | | | | |
| 1 | სამიტი პირველ დღე ბსუ | | | 8.06.2023 | | | | |
| 2 | სამიტი მეორე დღე ბსუ | | | 9.06.2023 | | | | |
| 3 | გენერალური ასამბლეა ბსუ | | | 10.06.2023 | | | | |
| ეტაპი 5 | | | | | | | | |
| 1 | პროექტის დახურვა | | | 15.06.2023 | | | | |

**5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:** პროექტი აერთიანებს აჭარის მასშტაბით მოტივირებულ 12-დან 25 წლამდე ახალგაზრდებს, ანუ მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასის მოსწავლეებსა და სტუდენტებს არსებული ასაკობრივი ზღვარი ვფიქრობ, ახალგაზრდებს კონკრეტულად კი აბიტურიენტებსა და სკოლის მოსწავლეებს უფრო დაახლოევებს ჩვენს უნივერსიტეტთან, რაც პრიორიტეტულია ჩემი გუნდისათვის, ასევე აღსანიშნავია, რომ მოცემულ პროექტში ჩართული იქნება აჭარის მუნიციპალიტეტის 30-მდე სკოლა და 23-მდე ეკო-კლუბი, რომელიც საერთო ჯამში მოიცავს 300-ზე მეტ ახალგაზრდას, ხოლო პროექტში საერთო ჯამში ჩართული იქნება 500-მდე ახალგაზრდა, ხელმძღვანელი, სტუდენტი, თუ პროფესორი.

**6. მოსალოდნელი შედეგები:** პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ჩვენი უდიდესი შედეგი იქნება, რომ პროექტში ჩართვის შესაძლებლობა ექნებათ, როგორც მუნიციპალიტეტის 30-მდე სკოლის ახალგაზრდებს, რაც რაოდენობრივი მაჩვენებლით 400-მდე ახალგაზრდაა და ასევე ჩაერთვება ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, მათ მიეცემეთ შესაძლებლობა გაილამაზონ და გაიხალისონ მათი სტუდენტური ცხოვრება და მიიღონ ისეთი გამოცდილება, რომელიც მათ მისცემთ საშუალებას თავიანთი მომავალი სწორად წარმართონ, ასევე მიმაჩნია, რომ პროექტის დასრულების შემდგომ ახალგაზრდები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე პრობლემატურ და აქტუალურ საკითხებზე, გაიღრმავებენ კრიტიკულ და ანალიტიკურ უნარ-ჩვევებს, დაეუფლებიან საჯარო გამოსვლების, დებატებისა და მოლაპარაკებების ხელოვნებას, გაეცნობიან და ისწავლიან რეზოლუციის შემუშავებას, აბიტურიენტები და სკოლის მოსწავლეები გაეცნობიან უკეთ ჩვენს უნივერსიტეტს. მიმაჩნია, რომ პროექტი დიდ გავლენას მოახდენს სტუდენტთა ცხოვრებაზეც, რადგან ძირითადად ისინი იქნებიან ჩართული მოცემულ პროექტში, როგორც ორგანიზატორები ეს კი ვფიქრობ ერთგვარი გამოფხიზლება, ბიძგი და მოტივაცია იქნება მათთვის აგრეთვე ვთვლი რომ ისინი შემდგომში თვითონვე იქნებიან ინიციატორი, მსგავსი პროექტი განახორციელონ, საუნივერსიტეტო სივრცეში. რაც შეეხება სკოლის მოსწავლეებს, ისინი გაეცნობიან და მიიღეებენ უდიდეს ცოდნასა და გამოცდილებას, მათთვის საჭირო თემების შესახებ, რაც მომავალში მათ პროფესიული კუთხით გამოადგებათ, ისინი გაეცნობიან ლექტორებთან ერთად მუშაობის სპეციფიკას, ეს კი გაზრდის ალბათობას, იმისა რომ მომავალში არჩევანს სწორედ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გააკეთებენ. რაც შეეხება ჩემი გუნდის მოტივაციას, ვთვლი როცა ბრწყინვალედ შევასრულებთ ჩვენს დაკისრებულ მოვალეობანს, ეს წამოწყებაც ჩვენთვის იქნება ბიძგი და წინ გადადგმული ნაბიჯი და გავაგრძელებთ ამ კუთხით აქტიურ მუშაობას, რადგან მე პირადად მივიჩნევ, რომ ახალგაზრდების განათლებაზე ზრუნვა არასდროს არის არც ზედმეტი, და არც აზრს მოკლებული. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები ხშირად იჩაგრებიან, ვინაიდან გარკვეული პრობლემების გამო ისინი მოწყვეტილი არიან ძირითად აქტივობებს და ვერ ახერხებენ ჩართვას, ეს პროექტი კი ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას ჩავრთოთ უამრავი სტუდენტი, აბიუტირიენტი თუ სკოლის მოსწავლე, მათ მიეცემათ ის შესაძლებლობა, რაც აქამდე არ ჰქონდათ, ეს კი ვფიქრობ უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია, თანაც მსგავსი პროექტი ვფიქრობ ახალგაზრდებს უდიდეს წარმატებასა და გამოცდილებას მოუტანთ, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მათ განვითარებისათვის.

**7. მონიტორინგი:** პირველ რიგში აუცილებელია ვთქვა, რომ ჩემს საინიციატივო გუნდ მხარში უდგას „საკონსულტაციო კომპანია macs", რომელთაც ჰყავთ გამოცდილი გუნდი საგანმანათლებლო და არამარტო საგანმანათლებლო მიმართულებით, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ჩვენ შეგვიძლია გასვლითი შეხვედრები ჩავატაროთ ჩვენს 5 მუნიციპალიტეტში. პროექტის სპეციფიკიდან

გამომდინარე, როგორც ვიცით პროექტი გრძელდება 3 თვეს, პირველი ეტაპი გასვლითი აქტიოვებია, ხოლო ფინალური შეხვედრა განხორციელდება ჩვენს უნივერსიტეტში, რომელსაც მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, რომელთაც ჩვენ მივაწვდით ყოველთვიურ ანგარიშს ფოტომასალის სახით. პირველი ეტაპზე განსაზღვრულია ორგანიზატორების შერჩევა, რომლის სარეგისტრაციო ველსაც მივაწვდით სტუდენტთა კარიერული განვითარების დეპარტამენტს, ხოლო ისინი შეეცდებიან, ბსუ-ს პლატფორმაზე ივენთის მაქსიმალურად პოპულარიზაციას. აღსანიშნავია, რომ აუცილებელი პირობაა ორგანიზატორი იყოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, რადგან ჩემი ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია ჩვენი უნივერსიტეტის მაქსიმალურად ჩართულობა სხვადასხვა შეხვედრებსა თუ ფორუმებში. გასაუბრების შემდგომ შევარჩევთ მუდმივმოქმედ ორგანიზატორებსა და ცვალებად ორგანიზატორებს, რომელთაც მოვამზადებთ პროექტისთვის, მათ ჩაუტარდებათ რამდენიმე ტრეინინგი, ზოგადად, პროექტის მართვისა და სპეციფიკის შესახებ. თვის ბოლოს დავიწყებთ დელეგატთა მიღებას შესაბამისად გავესაუბრებით თითოეულ მათგანს და მოვისმენთ მათ მოტივაციას თუ რატომ სურთ პროექტში მონაწილეობა, აყვანის შემთხვევაში გავაცნობთ მათი კომიტეტის ტრენერებს. მეორე თვის დასაწყისში კი დაიწყება გასვლით სამიტები, რომლის გააგრძელდება დელეგატთა მიღება. მეორე თვის ბოლოს კი გაიმართება სესია, რომელიც სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება, ამ სამი ნაყოფიერი დღის მეთვალყურენი იქნებიან მენეჯერები, რომელთაც აქვთ თავიანთი მოვალეობანი გადანაწილებული, მაგალითისათვის გვყავს მენეჯერი, რომელიც შიდა ორგანიზატორებს აკონტროლებს, აგრეთვე გვყავს მენეჯერები, რომლებიც გარე ორგანიზატორებს უწევს მონიტორინგს. ყველა დეტალი დაწვრილებით გვაქვს გათვლილი ხოლო მენეჯერთა მოვალეობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ ჯგუფის გაერთიანებაში იხილოთ. პროექტის განმავლობაში გამოყენებულ ინვენტარი აღირიცხება, რათა მიზნობრივად იყოს გამოყენებული ამას კი ისევ კოორდინატორები გააკონტროლებენ.

**8. შეფასება:** ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციიდან და რესურსიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი პროექტი მოიცავს აჭარის 5 მუნიციპალიტეტს, დაახლოებით 30-მდე ეკო კლუბსა და ამავე რაოდენობის 30-მდე სკოლას, საერთო ჯამში ჩვენ შეგვიძლია ჩავატაროთ 5 გასვლითი შეხვედრა მუნიციპალიტეტში, პირველ რიგში ეს ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი სტუდენტებისათვის, რიცხობრივი მაჩვენებლით, რომ განვსაზღვრო, 50-მდე მუდმივმოქმედი სტუდენტი იქნება ჩამბული პროექტში, რაც შეეხება აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს დაახლოებით 200-ზე მეტი ახალგაზრდაა, ეს შეხვედრები ჩვენს სტუდენტებს მისცემს საკუთარი თავის უკეთ პოვნაში დაეხმარებათ, რომ შეიძინონ შესაბამისი ლიდერული და ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, რომელიც მართლაც მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მათი მომავალი წარმართონ ისე, რომ წარმატება გარანტირებული ჰქონდეთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროექტის ფარგლებში ჩართული იქნება სხვადასხვა სფეროსა თუ სექტორის წარმომადგენლები, ჩვენი პარტნიორები არიან სს „აჭარის წყლის ალიანსი“, MACS, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლიმატის მართვის ცენტრი ასევე ბსუ-ს ფოტო-ვიდეო ხელოვანთა კლუბი. ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა მათთან ითანამშრომლონ და გაიმდიდრონ მათი სანაცნობო წრე. მოგეხსენებათ ეს პროექტი ასეულობით ახალგაზრდას აერთიანებს, როგორც დასაწყისში აღვნიშნე გვეყოლება ორგანიზატორ/დელეგატები, და როცა ისინი ჩვენს პროექტში მიიღებენ მონაწილეობას გაუჩნდებათ სურვილი და მოტივაცია იმისა რომ მომავლში მრავალჯერ ჩაერთონ მსგავს პროექტებში. ამასთანავე ახალგაზრდები უფრო დაუახლოვდებიან ჩვენს

უნივერსიტეტსა და ლექტორებს, დაამყარებენ ისინი მეგობრულ ურთიერთობას, ხოლო მომავალში ეს ხელს შეუწყობს მათ საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციას და ბოლოს შემიძლია ვთქვა, რომ რთული დროისა და პანდემიის შემდგომ მსგავსი პროექტი ჩვენი უნივერსიტეტისთვისა და ახალგაზრდებისთვის იქნება ზარი გამოღვიძებისა და სწორედ ეს მაჩვენებლები განსაზღვრავენ ჩვენი პროექტის წარმატებას, რომელიც საფუძველს ჩაუყრის კიდევ არაერთ ახალ პროექტს. პროექტისგან ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სხვადასხვა თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა სხვადასხვა თემაზე და შეუძლიათ განივითარონ და გამდიდრონ შესაბამისი უნარ-ჩვევები. პროექტის წარმატებას განსაზღვრავს ისიც, რომ ახალგაზრდები მიიღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას მათთვის საჭირო თემების შესახებ.

**პროექტის დასახელება -გარემოსდაცვით ახალგაზრდული სამიტი**

**პროექტის  მოკლე აღწერა -საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც პროექტის ფარგლებში ისახავს მიზნად სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა ინფორმირებულობას რეზულიციის შექმნასა და მის ჩვენებას ფართო საზოგადოებისათვის!**

| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | | | |
| 1 | ინვენტარი | (იხ დანართი 1) | 1067,5 | დელეგატებისა და ხელმძღვანელების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა | იქნებიან დელეგატები და ხელმძღვანელები 100%-ით უზრუნველყოფილი შესაბამისი საჭიროების ნივთებითა და პირობებით. | 1 აპრილი (ინვენტრაის ნაწილი) | | | | | | |
| 2 | ფურშეტი | (იხ დანართი 2 /2.1 ) | 2453,7 | ფურშეტის მთავარი მიზანია დამღლელი დღის გახალისება. ახალაი ენერგიით აივსებიან პროექტის მონაწილენი და გახალისდებიან! | მათი მუშაობის პროცესი ნაყოფიერი იქნება, ისინი გახსნილად და გონიერად იაზროვნებენ და მათი განწყობაც და შეხედულებებიც ერთიორად ამაღლდება! | | | ივნისი | ივლისი | | | |
| 3 | საპრიზო ფონდი | (იხ დანართი 3) | 820 | ახალგაზრდათა წახალისება და მოტივაციის ამაღლება | მონაწილეებს აუმაღლდებათ განწყობა და ისინი სამომავლოდ შეეცდებიან მსგავს პროექტებში ხშირად მიიღონ მონაწილეობა. | | | ივნისი | ივლისი | | | |
| 4 | შრომის ანაზღაურება | (იხ დანართი 4) | 651,18 | მენეჯერების გაწეული შრომის ანაზღაურება და წახალაისება | აუმაღლდებათ მოტივაცია და მომავალში კიდევ მიიღებენ მონაწილეობას მსგავს პრეოქტებში | | | | ივლისი | | | |
| | თანადაფინანსება | იხ თანხმობის წერილი | 25000 | დაფინასნებულია მთლიანად გასვლით აქტიობების ხარჯები | სრულიად უზრუნველყოფილი იქნება აქტიობების ჩატარება და განხორციელება | | | | | | | |

**დანართი 1**

| თვლა პროდუქცია | ფასი (ლარში) | საჭირო ოდენობა | ჯამი (ფასი x რაოდენობა) |
|---|---|---|---|
| ზამბარიანი ბლოკნოტი A5 ფორმატით | 3 ლარი | 80 | 240 |
| თაბახის ფურცელი A4 ფორმატით (500ც) | 16 ლარი | 2 | 32 |
| ბეიჯი | 1.3 ლარი | 90 | 117 |
| კალამი | 0.3 | 300 | 90 |
| მარკერი | 1 ლარი | 10 | 10 |
| სტეპლერი | 4 ლარი | 6 | 24 |
| სკოჩი | 2.5 ლარი | 3 | 7,5 |
| ფერადი ფურცლები STICKY NOTE | 6 ლარი | 6 | 36 |
| წებო | 1.2 ლარი | 5 | 6 |
| ჩანთა | 9 ლარი | 25 | 225 |
| სანიშნე | 0.15 თეთრი | 200 | 30 |
| სტიკერი | 1 ლარი | 150 | 150 |
| სერტიფიკატი | 2 ლარი | 50 | 100 |
| ლეპტოპი | 0 ლარი | 10 | |
| პროექტორი | 0 ლარი | 8 | |
| ფოტოაპარატი | 0 ლარი | 3 | |
| მიკროფონი | 0 ლარი | 5 | |
| სანოვარი | 0 ლარი | 5 | |
| მადუღარა წყლის | 0 ლარი | 5 | |
| | | | 1067,5 |

**დანართი 2**

| თვლა პროდუქცია | ფასი (ლარში) | საჭირო რაოდენობა | ჯამი (ფასიXრაოდ.) | |
|---|---|---|---|---|
| სენდვიჩი ქათმის ხორცით | 4 ლარი | 80 | 320 | პირველი დღე 40 ც (1)<br>მეორე დღე 40 ც (2) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სენდვიჩი ლორით და ყველით | 4 ლარი | 80 | 320 | პირველი დღე 40 ც (1) |
| | | | | მეორე დღე 40 ც (2) |
| ლობიანი ფენოვან ცომში | 1,2 ლარი | 90 | 108 | პირველი დღე 45 ც (1) |
| | | | | მეორე დღე 45 ც (2) |
| ჰოთ-დოგი | 3 ლარი | 70 | 210 | პირველი დღე 35 ც (1) |
| | | | | მეორე დღე 35 ც (2) |
| ქათმის მწვადი | 3,5 ლარი | 40 | 140 | პირველი დღე 20 ც (1) |
| | | | | მეორე დღე 20 ც (2) |
| კოკა-კოლა (2 ლ.) | 4,1 ლარი | 13 | 53,3 | პირველი დღე (1) |
| სასმელი წყალი "ჯეო ნატურა" 0,5ლ პეტი | 0.50 ლარი | 350 | 175 | პირველი დღე (1) |
| წყალი ბაკურიაინი 6ლ | 4 ლარი | 3 | 12 | პირველი დღე (1) |
| ფანტა 2ლ | 4,1 ლარი | 13 | 53,3 | პირველი დღე (1) |
| სალფეთქი (მშრალი) | 2 ლარი | 5 | 10 | პირველი დღე (1) |
| სალფეთქი (სველი) | 5 ლარი | 4 | 20 | პირველი დღე (1) |
| ტილო | 2.8 ლარი | 4 | 11,2 | პირველი დღე (1) |
| ერთჯერადი ცელოფნის ხელთათმანი 100ც | 2 ლარი | 5 | 10 | პირველი დღე (1) |
| პლასტმატმასის ჭიქა (100ც) | 5 ლარი | 8 | 40 | პირველი დღე (1) |
| მუყაოს ჭიქა (50ც) | 5 ლარი | 11 | 55 | პირველი დღე (1) |
| კოვზები (100ც) | 6 ლარი | 8 | 48 | პირველი დღე (1) |
| თეფში | 5 ლარი | 16 | 80 | პირველი დღე (1) |
| | | | 1665,8 | |

დანართი 2,1

| თვლა / პროდუქცია | ფასი ლარში | საჭირო რაოდენობა | ჯამი ფასიxრაოდენობა | დღეები |
|---|---|---|---|---|
| ყავა ხსნადი Nescafe classic (130გრ) | 10.35 ლარი | 4 | 41.40 | პირველი დღე (1) |
| ჩაი (25ც) Greenfield | 5,50 ლარი | 3 | 16.50 | პირველი დღე (1) |
| შაქარი (1 კგ) | 5 ლარი | 4 | 20 | |
| მაფინი | 1.5 ლარი | სულ 110 | 165 | პირველი დღე 40 ც (1)<br>მეორე დღე 30 ც (2)<br>მესამე დღე 40 ც (3) |
| ნამცხვარი "მედოკი" | 2 | სულ 100 | 200 | პირველი დღე 30 ც (1)<br>მეორე დღე 30 ც (2)<br>მესამე დღე 40 ც (3) |
| ეკლერი | 1,8 ლარი | სულ 100 | 180 | პირველი დღე 30ც (1)<br>მეორე დღე 30ც (2)<br>მესამე დღე 40ც (3) |
| შუ | 1.5 ლარი | სულ 110 | 165 | პირველი დღე 35ც (1)<br>მეორე დღე 35ც (2)<br>მესამე დღე 40ც (3) |
| სულ: | | | **787,9** | |

დანართი 3

| ადგილი პრიზი | 1 ადგილი იქნება 2 | 2 ადგილი იქნება 2 |
|---|---|---|
| | სმარტ საათი | უსადენო ყურსასმენი |
| 1 ჯგუფი | 70 | 70 |

| | | |
|---|---|---|
| 2 ჯგუფი | 70 | 70 |
| 3 ჯგუფი | 70 | 70 |
| 4 ჯგუფი | 70 | 70 |
| 5 ჯგუფი | 70 | 70 |
| 6 ჯგუფი | 70 | 70 |
| | | |
| სულ 820 ლარი | 420 | 420 |

**დანართი 4**

| ოდენობა პიროვნება | თანხა |
| --- | --- |
| გოგა ბაუჟაძე | 130,236 |
| თამთა ჯაფარიძე | 130,236 |
| თამუნა ნოღაიდელი | 130,236 |
| შალვა შალიკაძე | 130,236 |
| გიორგი ბოლქვაძე | 130,236 |
| სულ: | 651,18 |

„2023 წელს ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 15 თებერვლის N01-18/48 ბრძანების
დანართი N4

სტუდენტური პროექტის სახელწოდება: „დებატ კლუბი“
**პროექტის ავტორი:** ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **ნიკა თურმანიძე**
**პროექტის ბიუჯეტი:** 5000 ლარი

**პროექტის ID:** 76

**რეგისტრაციის დრო:** 2023-02-04 19:53:02

**პროექტის ტიპი:** საგანმანათლებლო
**1. განმცხადებელი**
**1.1 პროექტის ხელმძღვანელი:** ნიკა თურმანიძე
**1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში): „დებატ-კლუბი“**
**1.3 პირადი ნომერი:** 61001086179
**1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი):** ქ.ბათუმი, ლ.ასათიანის #35/37
**1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:**
**მობილური:** 574085989
**ელ.ფოსტა:** turmanidzenika3@gmail.com
**2. პროექტის შესახებ**
**2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად):** დებატ კლუბი
**2.2 პროექტის დაწყების თარიღი:** 2023-03-01
**2.3 პროექტის დასრულების თარიღი:** 2023-06-30
**2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა:** 5000
**2.5 თანადაფინანსება:** 0
**2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:5000**

**3. პროექტის/ინიციატივის აღწერა**
**3.1 პრობლემის განსაზღვრა:** თანამედროვე სტუდენტური ცხოვრებისთვის არა დამახასიათებელია არაფორმალური განათლების კუთხით გამართული ღონისძიებები და მასში აქტიური ჩართულობა.სტუდენტები ნაკლებად ინტერესდებიან სასწავლო პროცესის მიღმა მიმდინარე აქტივობებით,რაც მათ ხელს უშლის თავისუფალი განვითარების შესამლებლობის სრულყოფილად გამოყენებაში. საზოგადოებაში და მით უფრო სტუდენტებში,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ ცოდნის და მასში ჩართულულობის

დაბალი დონე ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს,რაც გამოიხატება იმაში,რომ სტუდენტები არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმართველობის როლზე,მათ ფუნქიცებსა და დანიშნულებაზე.ზემოთ აღნიშნულის შედეგი გამოიხატება იმაში,რომ სტუდენტები ნაკლებად იჩენენ ინტერესესს ადგილობრივი თვითმართველობის განხორციელბების პროცესში.შესაბამისად ვფიქრობთ,რომ სტუდენტების ჩართულობის დაბალი დონე მოითხოვს,მათ შესაბამისს ინფორმირებულობას და ასევე გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელებაში მათ აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას. ჩართულობის ნაკლებობა პირდაპირ პროპოციულად აისახება სტუდენტთა გავითარებაზე,რადგან სტუდენტებში ნაკლებად არის განვითარებული: ჯანსაღი კამათის კულტურა,სიტყვით გამოსვლის ხელოვნება,კრიტიკული აზროვნება,პრობლემაზე და მისი გადაჭრის გზებზე ეფექტურად ორიენტირების და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.ზემოთ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე ასევე, იმ კურსის გათვალისწინებით რაც უნივერსიტეტმა აიღო 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით, ჩვენი გუნდის მიზანია უნვერსიტეტში შექმნას ისეთი ტიპის არაფორმალური განათლების ცენტრი,დებატ კლუბის სახით,რომელიც სტუდენტებს მისცემს ყველა იმ უნარს,რისი არსებობის გამოც სტუდენტებში არსებობს ზემოთ აღნიშნული პრობლემა. მათ შორისაა:არგუმენტირებული მსჯელობის,ჯანსაღი კამათის კულტურის,დროის სწორი მენეჯმენტის,კრიტიკული აზროვნების და პრობლემაზე და მისი გადაჭრის გზებზე ეფექტურად ორიენტირების უნარი. აღსანიშანავია,ისიც რომ უნივერსიტეტში არ არსებობს ჩამოყალიბებული გაერთიანება კლუბის სახით,რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს,სტუდენტური აქტივობისა და არაფორმალური განათლების ფარგლებში შეისწავლოს დებატების ტექნიკა და იდებატოს.აღნიშნულის მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება სტუდენტებში,რადგან სტუდენტებისთვისაც უფრო მიმზიდველი ხდება ფორმალური ხარისხის დებატები,რომელიც მათ პიროვნულ უნარებს უფრო ზრდის.შესაბამისად უნივერსიტეტში ამჟამად მწვავედ დგას დებატების კლუბის არსებობის და ქმედითობის პრობლემა. ასევე,პროექტის წერის ფარგლებშიც კიდევ ერთხელ დავწმუნდით იმაში,რომ ჩვენს რეგიონში და არა მხოლოდ,ჩვენს რეგიონში მწვავედ დგას პროფესიონალი დებატების მასწავლებლებისა და ტრენერების არსებობის პრობლემა. ფაქტობრივად,ძალიან ცოტა პროფესიონალი თუ მოიძებნება ამ კუთხით,რაც სხვადასხვა პროექტის განამხორციელბელს იძულებულს ხდის დებატების ტექნიკის შესასწავლად ტრენერ-მასწავლებლები მოიწვიოს სხვადასხვა ქალაქიდან. შესაბამისად,ეს ჩაკეტილი სივრცე ქმნის მონოპოლიზირებულ გარემოს,რაც არ იძლევა ჯანსაღად ამ სივცრის გარღვევის შესაძლბელობას და ამ სფეროში უფრო მეტი პროფესიონალის გაჩენას.

**3.2 მიზანი:** ჩვენი გუნდის მიზანია,უნივერსიტეტში ჩამოაყალიბოს ისეთი ტიპის არაფორმალური განათლების ცენტრი,რომელიც სტუდენტებს შესთავაზებს ყველა იმ უნარის განვითარებას,რომელიც აუცილებელია ახალგაზრდების ეფექტური განვითარებისთვის . ჩვენი მიზანია, სტუდენტებში ჩამოაყალიბოს ისეთი ტიპის სივრცე, რომელიც საშუალებას მისცემს მათ აზრების,შეხედულებების და მოსაზრებების ისე გაცვლაში,რომელშიც დაცული იქნება კამათის კულტურა და ეს პროცესი დაცლილი იქნება ყოველგვარი პერსონალური თავდასხმებით და ამით ზეგავლენის მოპოვებით,არამედ პირიქით,აღნიშნული პროექტი უზრუნველყოფს ისეთი პირობების შექმნას,რომელშიც უპირატესობა მიენიჭება:არგუმენტირებული მსჯელობას,ლოგიკურ აზროვნებას და ოპონენტების პატივისცემას.აღსანიშნავია,რომ დებატები თავისი ბუნებიდან გამომდინარე,თავის თავში გულისხმობს დროის სწორი მენეჯმენტის უნარის განვითარებას,რადგან ნებისმიერი მოდებატე ვალდებულია,ისევ დებატების ფორმატიდან გამომდინარე,ეფექტურად

გამოიყენოს დრო რათა მიაღწიოს დასახულ მიზანს.სწორედ დებატების ფორმატი ითვალისწინებს,იმას რომ მოდებატემ დროის განსაზღვრულ და მცირე მონაკვეთში ჩამოაყალიბოს მისთვის საჭირო პოზიცია არგუმენტირებულად და ასევე დროის მცირე მონაკვეთში ეფექტურად წარადგინოს ის. ზემოთ აღნიშნულიც მოწმობს იმ ფაქტს,რომ ეს პროცესი სტუდენტში განავითარებას დროის ეფექტურად წარმართვის უნარს.ასევე აღსანიშნავია,რომ თითქმის ყველა დებატის ფორმატი მოიაზრებს არა მოლოდ პრობელმაზე მსჯელობას,არამედ მისი ეფექტურად განხორციელებაზე ზრუსვასაც.მოდებატე ვალდებული,არა მხოლოდ ისუბროს პრობელმაზე,არამედ ისაუბროს მისი ეფექტურად გადაჭრის გზებზეც.გასათვალისწინებელია,ის ფაქტი,რომ მოდებატეს როგორც პრობელმაზე ორიენტირებისთვის ისე მისი ეფექტურიად გადაჭრის გზებზე სამუშაოდ,დროის მცირე და მკაცრად განსაზღვრული მონაკვეთი აქვთ.აღნიშნული მოწმობს,იმას რომ დებატების პროცესი სტუდენტებს ჩამოუყალიბებს პრობელემაზე და მისი გადაჭრის გზებზე ეფექტურად ორიენტირების უნარი. ზემოთ აღნინული მსჯელობაც,მომწობს იმასრ,რომ დებატების პროცესი ახალგაზრდებში გამოიწვევს:არგუმენტირებული მსჯელობის,ჯანსაღი კამათის კულტურის,დროის მენეჯმენტის,პრობლემაზე და მისი გადაჭრის გზებზე ორიენტირების უნარს. სწორედ,ამიტომ ჩვენი გუნდის მიზანია,უნივერსიტეტში შექმნას არაფორმალური განათლების განვითარების მიზნით დებატ კლუბი,რომელიც გამოიწვევს ყველა იმ სიკეთის უზრუნველყოფას და განვითარებას,რომელიც ასე მწვავე დგას საუნივერსიტეტი ცხოვრებაში. ზემოთ აღნიშნული,პრობლემის გადაჭრის გზად გვესახება,სტუდენტების ინფორმირება ადგილობრივი თვითართველობის მნიშნველობის შესახებ.სწორედ, ამისთვის ჩვენი კლუბი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსთან,ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და მერიასთან ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში უზრუნველყოფს,რომ სტუდენტებმა ადგილობრივი თვითართველობის როლზე და მის მნიშნველობაზე ინფორმაცია მიიღონ თავად იმ პირებისგან,რომლებიც ჩართული არიან სწორედ ადგილობივი თვითმართველობის განხორცილების პროცესში.ასევე,ჩვენთვის მნიშნელოვანია,რომ მიღებული ცოდნა,სტუდენტებმა გამოიყენონ თვითართველობაში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გადასაჭრელად,შესაბამისად პროექტის შემაჯამებელ ღონისძიებაზე დებატების რეზოლუციები ძირითადად იქნება ადგილობრივი თვითართველობის შესახებ,რაც განაპირობებს იმას,რომ სტუდნეტები პირველ რიგში ეფექტურად გამოყენებენ მიღებულ ცოდნას,იმსჯელებენ არსებულ მწვავე პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. ასევე,ჩვენი გუნდის მთავარი მიზანია, საუნივერსიტეტო სივრცეში პროექტის განხორციელების შემდეგ, შექმნას ისეთი სტუდენტური სივცრე,სადაც სტუდენტები თავიანთი შეხედულებების შესაბამსიად შეისწავლიან სხვადასხვა დებატების ფორმატებს და ფორმალური დებატების ფარგლებში იდებატებენ, აღსანიშნავია,რომ დებატ კლუბის ჩამოყალიბების შემდეგ გვაქვს არაერთი ღონისძიება დაგეგმილი ,რომელიც მოემსახურება სტუდენტების უნარების განვითარებას და მათ დაინტერესებას არაფორმალური განათლების ფარგლებში გამართული ღონისძიებებით.ასევე,ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მიზანია,გაარღვიოს ამ სფეროში არსებული მონოპოლიზირებული გარემო და სტუდენტებს მისცემს ამ სფეროში ტრენერ-მასწავლებლებად ჩამოყალიბების საშუალებას.ამისთვის,ჩვენ ვგეგმავთ თანამშრომლობას „საქართველოს საგანმანათლებლო დებატების ასოციაცია'' -სთან,რომელიც 10 სტუდენტს გადაამზადებს შესაბამისი პერიოდით და სწავლების და გამოცდის შემდგომ მიანიჭებს სერტიფიცირებას,რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენს რეგიონში და უნივერსიტეტში მივიღოთ ათამდე ახალგაზრდა პროფესიონალი ტრენერ-მასწავლებელი.

**3.3 ამოცანები:** ჩვენი გუნდის ამოცანაა პროექტში მონაწილე სტუდენტებს გამოვუმუშავოთ ყველა ის საჭირო უნარ-ჩვევა რომელიც ახასიათებს ფორმალურ დებატებს და რომელიც შემდგომ გარანტირებულად დადებითად აისახება სტუდენტის პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე. ასევე ჩვენი მიზანია,სტუდენტებში ადგილობრივი თვითმართველობის პოპულარიზაცია და დემოკრატიული ჩართულობის განვითარება.ასევე,ჩვენი გუნდის მიზანია,უნივერსიტეტში დებატების კლუბის ჩამოყალიბება,რომელშიც სტუდენტები ინდივიდუალური გადაწყვეტიელბის საფუძველზე შეისწავლიან დებატებს.ამასთანავე,ჩვენი მიზანია რეგიონში და უნივერსიტეტში გაჩნდეს ახალგაზრდა პროფესიონალთა ბაზა,რომლებიც კვალიფიციური საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირების შემდგომ ჩამოყალიბდებიან პროფესიონალ ტრენერ-მასწავლებლებად.

**3.4 განხორციელების გზები:** ფორმალური დებატების პროექტის განსახორციელებლად, პირველ რიგში საჭიროა იმ სივრცის გამოყოფა,რომელშიც წარიმართება სწავლება,გადამზადების პროცესი გასტანს 1 თვეს და დატვირთული იქნება როგორც თეორიული ისე პრაქტიკული სწავლებით.ასევე ადგილობრივი თვითმართველობის პოპულარიზაციის და წინარე ცოდნის მიღებისთვის ინფორმაციული შეხვედრები გაიმართება, როგორც ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში,ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში. სადაც სტუდენტები ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლების მხრიდან გაეცნობიან ადგილობრივი თვითმართევლობის ფუნქციას,დანიშნულებას და მნიშნელობას.პროექტის სწავლების ძირითადი ეტაპის დასრულების შემდეგ გაიმართება ფინალური ტურნირი,რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სწავლებაში ჩართული ყველა სტუდენტი.სტუდენტები წილისყრის მეთოდით დაიყოფიან გუნდებათ და იდებატებენ მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული დებატების ფორმით საპარლამენტო სტილის დებატებით.ტურნირის ფარგლებში გამოვლინდება პირველ,მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები,რომლებიც მიიღებენ ფულად პრიზს,ასევე ტურნირის ფარგლებში გამოვლინდება 5 საუკეთესო სპიკერი,რომლებსაც ფულად პრიზთან ერთად გადაეცემათ ჩვენი მხარდამჭერისგან „ჟან მონეს კათედრისაგან" წიგნები.ტურნირის ფარგლებში ჩამოყალიბდება დებატების კლუბი,რომელშიც დაინერგება დებატების შესწავლის ფორმატი,დებატების თამაშთან ერთად,რაც იმას გულისხმბს,რომ კლუბში ეს ორი პროცესი წარიმართება პარალელურად,კლუბში უკვე არსებული მოდებატეები შეძლებენ დებატების თამაშს,ამავდროულად ახლად რეგისტირრებული სტუდენტები შეძლებენ ჯერ შესწავლას და შემდგომ დებატები თამაშს. „საქართველოს საგანმანათელბო დებატების ასოციაცია" -სთან აქტიური თანამშრომლობით,შევძლებთ რომ სრულყოფილი სწავლების შემდგომ ჩვენი კლუბის 10 წევრს მოტივაციის საფუძველზე მიენიჭოს ტრენერ-მასწავლებელის სტატუსი,რაც ჩვენს უნივერსიტეტში და რეგიონში გააჩენს ახალგარდა პროფესიონალ ტრენერ-მასწავლებელთა ბაზას,რომლებიც მოემსახურებიან სტუდენტებს დებატების შესწავლაში.

**4.** პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | 1 თვე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 5 თვე | 6 თვე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეტაპი 1 | | | | | | | |
| 1 | პროექტისთვის მიზნობრივი აუდიტორიის შერჩევა,სტუდენტურ პორტალზე სარეგისტრაციო ფორმის განთავსება,სარეგისტრაციო განაცხადების და სამოტივაციო წერილების მიღება და გადარჩევა. | მარტი | | | | | |
| 2 | შერჩეული 48 მონაწილე.გადანაწილდება ორ ჯგუფად.თითოეულ ჯგუფს კვირის განმავლობაში ჩაუტარდება 1 სასწავლო ტრენინგი.ჯამში კვირაში ჩატარდება 2,ხოლო თვის განმვალობაში ჩატარდება 8 სასწავლო ტიპის და 2 საინფორმაციო ტიპის შეხვედრა. | მარტი | აპრილი | | | | |
| 3 | საინფორმაციო ტიპის შეხვედრები ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში.შეხვედრები ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებთან. | მარტი | აპრილი | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდგომ,სტუდენტებს დაურიგდებათ შეფასებითი ბარათები,რომლითაც შეაფასებენ როგორც პროექტის მიმდინარეობის,ისე მიღებული ცოდნის და ტრენერის კვალიფიკაციის ხარისხს.აღნიშნული გამოკითხვა ჩატარდება ტურნირის დასრულების შემდგომაც,რის შემდეგაც მოხდება პროექტის საბოლოო შეჯამება.გამოკითხვა ჩატარდება ანნიმურობის სრული დაცვით. | | აპრილი | მაისი | | | |
| 5 | პროექტის დასკვნით ფაზაში,სასაწავლო კომპონენტის დასრულების შემდგომ გაიმართება შემაჯამებელი ღონისძიება ტურნირის სახით,რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პროექტის მონაწილეთა 2-2 კაციანი ჯგუფები.ტურნირის წამყვანი თემატიკა იქნება ევროინტეგრაციის და ადგილობრივი თვითმართველობის საკთხები.დებატები ჩატარდება საპარლამენტო დებატების ფორმატში. | | | მაისი | ივნისი | | |
| 6 | ტურნირში გამარჯვებული გუნდებისა და ტოპ სპიკერების გამოვლენა და დაჯილდოვება.ტურნირის ფარგლებში,გამოვლინდება 2 გამარჯვებული გუნდი,რომლებსაც გადაეცემათ ფულადი პრიზები.პირველ ადგილზე გასულ გუნდს გადაეცემა 400 ლარი,ხოლო მეორე ადგილზე გასულ გუნდს გადაეცემა 200 ლარი.ასევე,ტუყრნირის ფარგლებში გამოვლიონდება 5 საუკეთესო სპიკერი,რომლებიც დაჯილდოვდებიან 50-50 ლარიანი ბიბლუსის სასაჩუქრე ვაუჩერებით. | | | | ივნისი | | |
| 7 | ტურნირის დასრულების შემდგომ,ჩვენი მიზანია უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდეს მუდმივმოქმედი სტუდენტური დებატების კლუბი.რომელიც სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს უწყვეტ | | | | ივნისი | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რეჟიმში,როგორც დებატების თამაშის ორგანიზებას,ისე დაინტერესებული სტუდენტებისთვის დებატების ტექნიკის შესწავლას.ასევე კლუბი სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზებას. | | | | | | |
| 8 | დებატ კლუბის ჩამოყალიბების შემდგომ ჩვენი მიზანია,ჩვენს რეგიონში,შესაბამისად ჩვენს უნივერსიტეტში შექმნას ახალგაზრდა პროფესიონალ ტრენერ-მასწავლებელთა ბაზა.აღნიშნულის მიზნის მიღწევისთვის,კლუბში სამოტივაციო წერილის საფუძველზე შეირჩევა 10 მოდებატე,რომელიც ,,საქართველოს საგანმანათლებლო დებატების ასოციაციის' მეირ გაივლის ინტენსიურ სწავლებას და შესაბამისი ცოდნის და კომპეტენციის მიღების შემდგომ,გახდებიან დებატების სერტიფიცირებული ტრენერ-მასწავლებლები. | | | | ივნისი | | |

**5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:** პროექტის მიზნობრივი კატეგორია უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერი კურსის სტუდენტი,რომელიც გამოთქვამს სურვილს პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

**6. მოსალოდნელი შედეგები:** პროექტში მონაწილე სტუდენტები სრულყოფილად შეისწავლიან დებატების ტექნიკას,გამოიმუშავებენ ისეთ მნიშნელოვან უნარ-ჩვევებს,როგორიცაა:არგუმენტირებული მსჯელობის,ჯანსაღი კამათის კულტურის,დროის სწორი მენეჯმენტის,კრიტიკული აზროვნების და პრობლემაზე და მისი გადაჭრის გზებზე ეფექტურად ორიენტირების უნარი.ასევე,პროექტის დასრულების შემდგომ უნივერისტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდება დებატ კლუბი,რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის,როგორც რეგულარულად დებატების თამაშის ორგანიზებას,ისე დაინტერესებული სტუდენტებისთვის დებატების ტექნიკის შესწავლას.ასევე,დებატების კლუბის ჩამოყალიბების შემდგომ განხორციელდება არაერთი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამა.

**7. მონიტორინგი:** ჩვენი მიზანია მუდმივი პროგრსის მიღწევა პროექტის განხორციელების ფარგლებში.სწორედ ამიტომ,სწავლების დასრულების დროს სტუდენტები შეფასებითი ბარათების საშუალებით შეაფასებენ პროექტის განხორციელების,მიღებული ცოდნისა და ტრენერის კვალიფიკაციის ხარისხს.ასევე,შეფასებითი ბარათებით გამოყნებას ვგეგმავთ ტურნირის დასრულების შემდგომაც,რათა

მოხდეს პროექტის სრულყოფილად შეფასება ყველა ასპექტის გათვალისწინებით.ეს შეფასება დაგვეხმარება დებატ კლუბში შემდგომში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში.

**8. შეფასება:** ჩვენი პროექტის წარმატების განმაპირობებელი ფაქტორია სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნა დებატების ტექნიკასთან დაკავშირებით,ეს ასპექტი ნათლად გამოჩნდება შემაჯამებელი ტურნირის განხორციელებისას.ასევე,იმ შემთხვევაში თუ პროექტის დასრულების შემდეგ სტუდენტთა დიდი ნაწილი დაინტერესდება და შემოურთდება დებატების კლუბს ჩაითვლება,რომ პროექტი წარმატებულია.

# სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროექტის დასახელება - | | | | | | | | | | | |
| | პროექტის მოკლე აღწერა - | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | |
| 1 | ტრენერის შრომის ანაზღაურება (ბსუ-ში გასამართ ტრენინგზე) | თვის განმავლობაში ჯამში ჩატარდება 10 სასწავლო ტრენინგი.თითოეული ტრენინგის ჩატარებისთვის ტრენერის ანაზღაურება შეადგენს 50 ლარს. | 500 | სტუდენტები ტრენერის საშუალებით შეისწავლიან დებატების ტექნიკას. | ტრენერის კვალიფიკაცია გამოიხატება სტუდენტების მიერ მის შეფასებაში,ასევ ე ტრენერის მუშაობის ხარისხი აისახება მოდებატეების მიერ ფინალურ ეტაპზე გამოვლენილ ცოდნაში. | | | მაისი | | | | |
| 2 | სერტიფიკატი | პროექტის ფარგლებში საჭიროა 70 სერთიფიკატის დაბეჭდვა.ერთეულის ფასი შეადგენს 1,50 ლარს. | 110 | სტუდენტებს გადაეცემათ მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი | სტუდენტთა კმაყოფილება | | | | ივნისი | | | |
| 3 | ბანერი | პროექტის პოპულარიზების მიზნით საჭიროა სარეკლამო ბანერის | 200 | კლუბის პოპულარიზაცია | ტრენინგის შესაღებ საზოგადოების ცნობადობის ამაღლება | | აპრილში | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაბეჭდვა,რომელზე 1 ცალი 200 ლ | | | | | | | | | | |
| 4 | წიგნები | გამარჯვებული სპიკერებისა და გუნდებისთვის წიგნების გადაცემა ჯამში 250 ლარი | 250 | მონაწილეთა კმაყოფილება | | | | | ივნისი | | | |
| 5 | გამარჯვებულებისთვის ფულადი ჯილდო | პირველ და მეორე ადგილზე გასულებს გადაეცემათ 400 ლარი + 200 ლარი | 600 | მონაწილეთა კმაყოფილება | | | | | ივნისი | | | |
| 6 | კვება | მოწვეული და დამსწრე პირებისთვის კვებით უზრუნველყოფა ჯამში 2 დღე 60 ადამიანზე ჯამში 700-700 ლარის | 1400 | მონაწილეთა კმაყოფილება | | | | | ივნისი | | | |
| 7 | ფურშეტი | ტრენინგებზე დამსწრეთა ფურშეტით უზრუნველყოფა 60 კაცზე | 640 | მონაწილეთა კმაყოფილება | | | | მაისი | | | | |
| 8 | ტრენერის შრომის ანაზღაურება (თბილისში გასამართ ტრენინგზე) | ბსუ-ში 8 ყველაზე გამორჩეულ სტუდენტს სასერტიფიკატო ტრენინგს ჩაუტარებას 20 სთ-ის განმავლობაშ ი. საათში 65 ლარი, ჯამში 13000 | 1300 | | | | | | ივნისი | | | |
| | | | | | | | | | | | | |

„2023 წელს ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 15 თებერვლის N01-18/48 ბრძანების
დანართი N5

სტუდენტური პროექტის სახელწოდება: „სტუდენტური მედია კლუბი **(Student Media Club)**“
**სტუდენტური პროექტის ავტორები:** ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები **თამრიკო ზოიძე და ანა ვარდმანიძე**
**პროექტის ბიუჯეტი:** 4230 ლარი

პროექტის **ID:** 71

**რეგისტრაციის დრო:** 2023-02-04 18:43:11

**პროექტის ტიპი:** საგანმანათლებლო

**1.** განმცხადებელი
**1.1 პროექტის ხელმძღვანელი:** თამრიკო ზოიძე; ანა ვარდმანიძე
**1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში):** ფოტო-ვიდეო ხელოვანთა კლუბი
**1.3 პირადი ნომერი:** 61301089904; 61008019082
**1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი):** ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი ჩიხი N III; ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. უჩხითი
**1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:**
**მობილური:** 571051873; 574519201
**ელ.ფოსტა:** tamar.zoidze.02@gmail.com

**2.** პროექტის შესახებ
**2.1** პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): სტუდენტური მედია კლუბი (Student Media Club)
**2.2** პროექტის დაწყების თარიღი: 2023-03-06
**2.3** პროექტის დასრულების თარიღი: 2023-11-20
**2.4** ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 4230 ლარი
**2.5** თანადაფინანსება:
**2.6** პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:**4230**

**3. პროექტის/ინიციატივის აღწერა**

**3.1 პრობლემის განსაზღვრა:** საუნივერსიტეტო სივრცეში ნაკლებად ხდება სტუდენტური აქტივობების ვიდეორგოლის სახით გაშუქება, სადაც ისინი უფრო ვრცლად შეძლებენ თავიანთ მიღწევებზე საუბარს. გარდა ამისა, ხშირად, როდესაც სტუდენტები აღმოჩნდებიან ვიდეოკამერის წინაშე, მათი ემოციები შიშითა და უხერხულობით ივსება. საგანმანათლებლო დაწესებულებები კი ნაკლებად სთავაზობენ სტუდენტებს აღნიშნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, შესაბამისად საუნივერსიტეტო სივრცეში ისეთი პლატფორმის შექმნა, რომელიც სტუდენტებს ვიდეოკამერის წინაშე მუშაობის გამოცდილებასა და მათი აქტივობების წარმოჩენას ერთდროულად მისცემს, აღმოფხვრის ორ პრობლემას.

**3.2 მიზანი:** პროექტის პრობლემის განსაზღვრებიდან გამომდინარე მისი უმთავრესი მიზანია სტუდენტების მიერ განხორციელებული აქტივობების არა ფოტომასალით, არამედ ინოვაციური მეთოდით - ვიდეორგოლის სახით წარმოდგენა, რაც ხელს შეუწყობს როგორც სტუდენტების ადაპტირებას ვიდეოკამერებთან და ჟურნალისტიკითა და ვიდეოგადაღებით დაინტერესებული სტუდენტების აღმოჩენასა და განვითარებას, აგრეთვე უნივერსიტეტის პოპულარიზებას ფართო მასშტაბით.

**3.3 ამოცანები:** იმისათვის, რომ ჩვენ მიერ დასახული მიზნები მოვიყვანოთ სისრულეში, უპირველესი ამოცანა შესაბამისი პირების დაინტერესება იქნება. მიზნის განსახორციელებლად ძირითადი ამოცანას ბსუ-ს სტუდენტების პროექტში ჩართვა წარმოადგენს. ამოცანა 1. ბსუ-ს სტუდენტებისთვის გამოცხადდება პროექტში მონაწილეობის კონკურსი; ამოცანა 2. მოწვეული ტრენერების მეშვეობით პროექტში მონაწილე პირებისთვის ჩატარდება ტრენინგები ვიდეო მონტაჟთან და სხვა სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით; ამოცანა 3. პროექტის მონაწილეებისათვის ჩატარდება ვიდეო კონკურსი, რის საფუძველზეც უნდა გამოვლინდეს ორი საუკეთესო შედეგის მქონე მოკლე ვიდეოს ავტორი; ამოცანა 4. გამოვლინდება ორი გამარჯვებული , რომლებთანაც მოხდება სტაჟირების/დასაქმების გაფორმება; ამოცანა 5. შესაბამისი კადრის მოძიების შემდგომ დაიწყება აქტიური მუშაობები პროექტის დასახული მიზნების მისაღწევად.

**3.4 განხორციელების გზები:** ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების სრულყოფილად განხორციელებისათვის აუცილებელია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები და მკაფიოდ განვსაზღვროთ ის გზები, რომელიც განახორციელებს დასახულ ამოცანებს: 1. ვიდეო ხელოვნებით დაინტერესებული სტუდენტების მოძიების მიზნით განვათავსებთ ინფორმაციას შესაბამის პლატფორმებზე; 2. მოწვეული კომპეტენტური ტრენერები დაატრენინგებენ სტუდენტებს ვიდეოგადაღებასა და მის დამუშავებასთან არსებულ სპეციფიკურ საკითხებზე; 3. ტრენინგების შემდგომ გამოცხადდება ვიდეო კონკურსი, სადაც მონაწილეებს მიეცემათ შემდგომში განსაზღვრული თემატური დავალება; 4. კონკურსის შედეგებიდან გამომდინარე, აირჩევა ორი საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტი, რომლებიც დაიკავებენ ვაკანტურ პოზიციას და შეუდგებიან ზემოხსენებულ საქმიანობას; 5. აღნიშნულ ვიდეო მასალების გაშუქებას უზრუნველყოფს „ფოტო-ვიდეო ხელოვანთა კლუბი," რომელიც აქტიურად თანამშრომლობს „ფოტო-ვიდეო სტუდიასთან" და „საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან".

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | 1 თვე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 5 თვე | 6 თვე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეტაპი 1 | | | | | | | |
| 1 | შესაბამის ონლაინ პლატფორმებზე ინფორმაციის გავრცელება დაინტერესებული პირების მოძიების მიზნით | 6.03.2023-11.03.2023 | | | | | |
| ეტაპი 2 | | | | | | | |
| 1 | ტრენინგების ჩატარება | 12 მარტიდან | 12 აპრილამდე | | | | |
| ეტაპი 3 | | | | | | | |
| 1 | ვიდეოკონკურსის გამოცხადება | | 13.04.2023-23.04.2023 | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | ვიდეოკონკურსის შედეგების გამოცხადება | | 24.04.2023-30.04.2023 | | | | |
| 3 | ძირითადი სამუშაო ნაწილის განხორციელება (ვიდეორგოლების გადაღება) | | | მაისი | სექტემბერი | ოქტომბერი | |
| ეტაპი 4 | | | | | | | |
| 1 | დასკვნითი ღონისძიება ფურშეტთან ერთად | | | | | | ნოემბერი |

**5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:** აღნიშნული პროექტის ბენეფიციარები, პირველ რიგში, იქნებიან ბსუ-ს სტუდენტები - ის სტუდენტები, რომელთა საუნივერსიტეტო ცხოვრების გაშუქება მოხდება ვიდეოების სახით და, ასევე, ის სტუდენტები, რომლებიც სტაჟირების ფარგლებში დაეუფლებიან ვიდეოტექნოლოგიას. მთლიანობაში კი ორივე მხარე განვითარებას კამერასთან მუშაობის უნარ-ჩვევებს. მიზნობრივ ჯგუფში განვიხილოთ ასევე შესაძლოა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიც, ვინაიდან საუნივერსიტეტო ცხოვრების გაშუქებისას შესაძლებელია, რომ ვიდეოებში დაგვჭირდეს მათი ჩართვაც.

**6. მოსალოდნელი შედეგები:** პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ის, პირველ რიგში, გავლენას იქონიებს უნივერსიტეტში სტუდენტური აქტივობების ვიდეორგოლის სახით გაშუქების დანერგვაზე. ის ასევე გავლენას მოახდენს სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე - მოხდება ვიდეოგრაფიით დაინტერესებული სტუდენტების განვითარება და სტუდენტების სტიმულირება, რათა მათი წარმატებების გაშუქებაც მოხდეს ვიდეორგოლის, ბლიცინტერვიუების მეშვეობით. პროექტის მიზნის რეალიზაციის პროცესში ჩართულნი იქნებიან არა მხოლოდ მონაწილე პირები, არამედ ყველა ის ადამიანი, ვინც გარკვეული სახის აქტივობას ეწევა ბსუ-ში, ეს კი ერთგვარი პიარი იქნება როგორც ამ კონკრეტული პირების საქმიანობის, აგრეთვე უშუალოდ უნივერსიტეტის. გარდა ამისა, აღნიშნულ ჭრილში ის დაეხმარება „ფოტო-ვიდეო ხელოვანთა კლუბის" განვითარებას.

**7. მონიტორინგი:** უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ექნება შესაძლებლობა განახორციელოს მონიტორინგი უშუალოდ პროექტის მიმდინარეობისას და გაეცნოს პროექტის ფარგლებში წარმოდგენილ და წარსადგენ ვიდეო მასალებს. ჩვენი მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება, რომ ჩვენ მიერ განსახორციელებელი ღონისძიების წინ ინფორმირებული იყოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და

სპორტის დეპარტამენტი. აგრეთვე, სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციას გავივლით საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან, ხოლო შესაბამისი ინვენტარის უსაფრთხოდ დაბრუნების მონიტორინგს უზრუნველყოფს „ფოტო-ვიდეო სტუდია“.

**8. შეფასება:** სტუდენტები შეძლებენ დახვეწონ ვიდეოაპარატთან მუშაობა, როგორც მასთან უშუალო ურთიერთობის პირობებში, ასევე რესპონდენტის ამპლუაში. ეს პირდაპირ აისახება როგორც ვიდეოგრაფიით დაინტერესებული სტუდენტების აღმოჩენაში და მათ სასიკეთო საქმეებში გამოყენებაში, ასევე სტუდენტური აქტივობების ინოვაციური მეთოდით გაშუქებაში. თავად მთელი პროექტი კი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრების ვიდეორგოლის სახით წარმოჩენის დანერგვა-განვითარებას.

სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **პროექტის დასახელება** - სტუდენტური მედია კლუბი (Student Media Club) | | | | | | | | | | | |
| | პროექტის მოკლე აღწერა - | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
| | | | | | | მარტ | აპრილ | მაის. | ივნის | სექტ. | ოქტომ. | ნოემბ |
| 1 | ტრენერის შრომის ანაზღაურება | 2 ტრენერი, 15 -15 სთ , 1000 – 1000 ლარს. ჯამში 2000 ლ | 2000 | ტრენერთა კმაყოფილების დონე, კვალიფიციური პირების მიერ სტუდენტთა დატრენინგება | დასაქმდება 2 ადამიანი | 1-30 | 1-30 | | | | | |
| 2 | შერჩეული სტაჟიორების შრომის ანაზღაურება | 2 სტაჟიორი, მაისში, ივნისში, სექტემბერსა და ოქტომბერში განხორციელებული ფოტო-ვიდეო გადაღებებისთვის მიიღებს 500-500 ლარს შრომის ანაზღაურების სახით. | 1000 | 4 თვის განმავლობაში გადაღებული ვიდეო-ფოტო მასალა - სტუდენტური და საუნივერსიტეტო ცხოვრების გაშუქება | | | | მაისის | ივნისი | სექტემბერი | ოქტომბ | |
| 3 | პროექტის ხელმძღვანელისა და თანაავტორის შრომის ანაზღაურება | ანა ვარდმანიძე და თამრიკო ზოიძე პროექტის დასრულების შემდეგ მიიღებენ 300-300 ლარს = ჯამში 600 ლ | 600 | ავტორების კმაყოფილება და სტიმულირება | | | | | | | | ნოემბ. |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ფურშეტი/ტრტით დასკვნითი ღონისძიებისთვის | 30 ადამიანზე (მოწვეული პირებისა და პროექტის ს მონაწილეებისთვის) | 600 | დამსწრეთა კმაყოფილება | | | | | | | | ნოემბ |
| 5 | სერტიფიკატი | 20 საუკეთესო პროექტის მონაწილის დაჯილდოება სერტიფიკატით | 30 ლარი | სტუდენტთა კმატყოფილება | | | | | | | | ნოემბ. |

„2023 წელს ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 15 თებერვლის N01-18/48 ბრძანების
დანართი N6

სტუდენტური პროექტის სახელწოდება: „ბსუ-ს მოხალისეთა კლუბი - **BSU Volunteer Club**“
**სტუდენტური პროექტის ავტორი:** ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
„ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **რაფაელ დილავერიძე**
**პროექტის ბიუჯეტი:** 2040 ლარი

**პროექტის ID:** 68

**რეგისტრაციის დრო:** 2023-02-04 12:15:22

**პროექტის ტიპი:** საგანმანათლებლო

**1.** განმცხადებელი
**1.1** **პროექტის ხელმძღვანელი:** რაფაელ დილავერიძე
**1.2** **გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში):** ბსუ-ს მოხალისეთა კლუბი
**1.3** **პირადი ნომერი:** 61006062813
**1.4** **ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი):** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარფი
**1.5** **საკონტაქტო ინფორმაცია:**
**მობილური:** 555962255
**ელ.ფოსტა:** rafaeldilaveridze@gmail.com

**2.** პროექტის შესახებ
**2.1** **პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად):**
ბსუს მოხალისეთა კლუბი - **BSU Volunteer Club**
**2.2** **პროექტის დაწყების თარიღი:** 2023-03-01
**2.3** **პროექტის დასრულების თარიღი:** 2023-06-30
**2.4** **ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა:** 2040
**2.5** **თანადაფინანსება:** 0
**2.6** **პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:2040**

**3.** პროექტის/ინიციატივის აღწერა

**3.1 პრობლემის განსაზღვრა:** პირველ რიგში აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდება ძალიან ბევრი საგანმანათლებლო, სპორტული და კულტურული აქტივობები რაც რა თქმა უნდა დადებით როლს თამაშობს სტუდენტების განვითარებაში, მაგრამ ამ ღონისძიებებში ჩართული (ერთჯერადად ჩართული მონაწილეები) სტუდენტები მხოლოდ ვიწრო პროფილური ჩართულობით გამოირჩევიან, მაგალითად თუ სტუდენტი დაინტერესებულია სტიპენდიით მხოლოდ „სამეცნიერო კონფერენციაში" იღებს მონაწილეობას, სტუდენტი რომელიც დაინტერესებულია ჯანსაღი ცხოვრების წესით, ის მხოლოდ ჩართულია „სპორტულ" წრეებში და ასე შემდეგ. ძალიან მწირია იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც ორგანიზებულად ერთვებიან ბსუ-ში დაგეგმილ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, მათ შორის: 1. ბსუ-ს სპორტული წრეების მხარდაჭერა (გულშემატკივრობა), 2. საქველმოქმედო აქციების ორგანიზება (მათ შორის სისხლის დონაცია), 3. რესპუბლიკურ და რეგიონალურ ღონისძიებებში მოხალისეობრივი ჩართულობა (U21 ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მხარდაჭერა), 4. გაეროს საერთაშორისო დღეების ფარგლებში შესაბამისი ღონისძიების ორგანიზება და/ან მათში ჩართულობა (გარემოს დაცვის, ბავშვთა დღის, ქალთა დღის, სტუდენტთა საერთაშორისო დღის და ასე შემდეგ). ბსუ-ში სტუდენტებს გვაქვს შეუზღუდავი წვდომა როგორც მატერიალურ რესურსზე ასევე აუდიტორიებზე, რაც ხშირ შემთხვევაში არასათანადოდ არის გამოყენებული. მაგალითად, უკვე 1,5 წელია (კოვიდ რეგულაციების მოხსნის შემდგომ), რაც უნივერსიტეტის თავისუფალ სივრცეში (მე 2 კორპუსი, 21-ე აუდიტორია) მე და სხვა უამრავი სტუდენტი დაკავებული ვართ მხოლოდ დროის არაორგანიზებულად ხარჯვაში, კერძოდ უამრავი შეხვედრის, შეჯიბრის, საქველმოქმედო თუ სხვა სახის აქტივობებში ფართო მასშტაბით არ ვართ ჩართული, ხოლო შესაბამისი ჩართულობის უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება ორგანიზებული სტუდენტური ჯგუფის გარეშე. აღნიშნული პრობლემის დაძლევისთვის მიზანშეწონილად მივიჩნევთ „მოხალისეთა კლუბის" დაარსებას, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება იმ სტუდენტთა გაერთიანება, ვისაც სურს ანაზღაურების და სხვა სახის მატერიალური სარგებლის გარეშე მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის და ზოგადად საზოგადოებრივი დაკვეთის შესრულებაში. აღნიშნული მიზნის განხორციელებას კლუბში აქტიურად ჩართული სტუდენტები უზრუნველყოფენ.

**3.2 მიზანი:** მოხალისეთა კლუბის მიზნები გახლავთ: 1. სტუდენტების მიერ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიჯის და საქმიანი რეპუტაციის ამაღლება საზოგადოებასა და საქმიან წრეებში; 2. ბსუ-ს სპორტული, კულტურული და საგანმანათლებლო წრეების მხარდაჭერა საუნივერსიტეტო და რეგიონალურ ტურნირებში; 3. საუნივერსიტეტო და არა საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ბსუ-ს სტუდენტების ცნობადობის ამაღლება და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა.

**3.3 ამოცანები:** ზემოთ წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად, მიზანშეწონილად მივიჩნევთ შემდეგი ამოცანების დასახვას: ამოცანა I - ბსუ-ს სპორტული წრეების (ამ ეტაპზე ფეხბურთის გუნდის) გულშემატკივრობას (ფანობას); ამოცანა II - გაეროს ეგიდით არსებული საერთაშორისო დღეების ფარგლებში ღონისძიებების ორგანიზება; ამოცანა III - საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება (სისხლის დონაცია და სხვა);

**3.4 განხორციელების გზები:** I ამოცანის განხორციელებისთვის დასახული გზები - ბსუ-ს სპორტული და კულტურული წრეების (ამ ეტაპზე ფეხბურთის გუნდის და ბსუ-ს ბენდის) მხარდაჭერისთვის უზრუნველვყოფთ FC BSU-ს საშინაო თამაშებში „მოხალისეთა ორგანიზებულ დასწრებას; II ამოცანის განხორციელებისთვის დასახული გზები - გაეროს ეგიდით არსებული საერთაშორისო დღეების ფარგლებში ვთანამშრომლობთ ბსუ-ს ბავშვთა უფლებების ცენტრთან (პროექტის ფარგებში დაგეგმილი გვაქვს ბავშთა უფლებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრის გამართვა სკოლის მოსწავლეებთან), ასევე გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტთან რათა ერთობლივად განვახორციელოთ პროექტით დასახული ღონისძებები (უნივერსიტეტის მიმდებარედ ზღვის პლაჟის დასუფთავების აქცია). III ამოცანის განხორციელებისთვის დასახული გზები - საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზებისთვის (სისხლის დონაციის აქცია შეთანხმებული გვაქვს) ვთანამშრომლობთ წითელ ჯვართან და სისხლის ბანკთან.

**4.** **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)**

| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | 1 თვე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 5 თვე | 6 თვე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეტაპი 1 | | | | | | | |
| 1 | რეგისტრაციის გამოცხადება ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით | მარტი | | | | | |
| 2 | სტუდენტებთან გასაუბრება და აყვანა | მარტი | | | | | |
| 3 | ღონისძიებების (სისხლის დონაცია, ბავშვთა საერთაშორისო დღის ორგანიზება, გარემოს დაცვის დღის ორგანიზება, სპორტული ღონისძიებებზე ბსუ-ს კლუბების მხარდაჭერა) განხორციელება | | აპრილი | მაისი | ივნის | | |

**5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:** ბსუ-ს სტუდენტები.

**6. მოსალოდნელი შედეგები:** ბსუ-ს სტუდენტების დაახლოება ერთმანეთთან ახალ გარემოში გამოწვევებთან გამკლავება, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება

**7. მონიტორინგი:** ჩატარებული ღონისძიებები აისახება აისახება უნივერსიტეტის: ვებ და სოც.ქსელზე ასევე სხვადასხვა მედიაში.

**8. შეფასება:** სტუდენტები ჩართულები იქნებიან ღონისძიებებში, რაც სტუდენტების სტუდენტურ ცხოვრებას გაამრავალფეროვნებს.

# სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროექტის დასახელება - ბსუ-ს მოხალისეთა კლუბი | | | | | | | | | | | |
| | პროექტის მოკლე აღწერა - | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
| | | | | | | 1 | | | | | | |
| 1 | ბარაბანი (დოლი) | 1 ცალი | 500 | სტუდენტების აქტივობებში ჩართვა | ბსუს სტუდენტების ჩართვა პროქტებში | აპრილი | | | | | | |
| 2 | რუპორი (მეგაფონი) | 1 ცალი | 300 | სპორტული, საქველმოქმედო, ლაშქრობის ღონისძიებების მხარდაჭერა | შემართების და მოტივაციის ამაღლება | აპრილი | | | | | | |
| 3 | პირო (ფერადი კვამლის) | 50 ცალი ერთეულის ღიღებულება 10 | 500 | სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა | სტუდენტთა კმაყოფილების დონის ზრდა (ვიზუალიზაციით) | აპრილი | | | | | | |
| 4 | ბსუ-ს დროშა | 3 ცალი * 100 ლარი ერთი ცალი | 300 | სტუდენტური ღონისძიებებში ბსუ-ს წარმოჩენა | სტუდენტთა კმაყოფილების დონის ზრდა (ვიზუალიზაციით) | აპრილი | | | | | | |
| 5 | შრომის ანაზღაურება | ავტორის | 440 | ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების უზრუნველყოფა | ავტორის, ხელმძღვანელი მოტივაცია | | | | ივლისი | | | |
| | | | | | | | | | | | | |